# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 20 თებერვალი. 2023 წ. №20 (9552) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


ისევ „ვაშინგტონის კრემლი“...

## შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ

③

სახეზეა ყველა ნიშანი იმისა, რომ ევროკავშირი ახალ საბჭოთა კავშირად გარდაიქმნა, საბჭოთა კავშირად, როგორც ფორმით, ისე შინაარსით.

ზაზა ფირალიშვილი:

## საკუთარ ბედს ვერ კი არა, არ ვქმნით!



ბიძინა ივანიშვილი სრულიად უგრძნობელია იდეოლოგიების მიმართ... მისთვის მთავარია შედეგი!

⑤

## რემბო და შერიფი დღევანდელ ევროპაში




③

## საწვავის ბაზარზე ისევ განუკითხაობაა!



თურქები, აზერბაიჯანელები, სომხები, რუსებიც კი ბევრად უფრო ნამუსიანად მაჭრობენ, ვიდრე ხარბი და გაუმაძღარი ქართველები!!!

⑥

თემურ ბასილია:

## ამერიკას და ევროგაერთიანებას არასოდეს მოუთხოვია საქართველოსგან მეორე ფრონტის გახსნა!

④



სააკაშვილის საქართველოში გამოგზავნა ორგანიზებული იყო უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ...

ზურაბ აზარაშვილი:

## გვაქვს ძალიან ბევრი აფთიაქი, იმაზე დაახლოებით 3-ჯერ მეტი, ვიდრე ქვეყანას სჭირდება!

## „გეაჯები, ნუ გამწირავ, მოგკვდე, შენ კერძ დამმარხეო“!..



დიდი ქართველი პოეტისა და დიდაქტიკოსი მოქალაქის დავით გურამიშვილის გადმოსვენება უკრაინიდან საქართველოში უფლის შეგონებითა და საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით უნდა აღსრულდეს!

**სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, მის უწმინდესობასა და უნეტარესობას, ილია მეორეს**



მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის „დავით გურამიშვილის დარბაზის“ სამეცნიერო ხელმძღვანელის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს საპატრიარქოს ყოფილი პატროლოგის **დენიზა სუმბაძის**

### ღია წერილი

*დავით გურამიშვილის წმიდანად შერაცხვასთან და მისი ნეშტის გადმოსვენებასთან დაკავშირებით უკრაინის ტერიტორიიდან მშობლიურ ქვეყანაში.*

თქვენო უწმინდესობავ!

უპირველესად მოგილოცავთ თქვენი აღსაყდრების 45 წლისთავსა და ქრისტეს აქეთ 2023 წლის შემობრძანებას საქართველოს მიწა-წყალზე! მთელი გულით შევთხოვ უფალს თქვენი ჯანმრთელობის ძლიერებასა და თქვენს მზეგრძელობას! თქვენი მზეგრძელობა დღეს ჰაერივით სჭირდება განსაცდელში ჩავარდნილ ქართველ ერსა და მის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თვითგამორკვევას! წინამდებარე ღია წერილით მოგმართავთ და გაწუხებთ ჩემი სრული პასუხისმგებლობის გამო, როგორც პატივდებული და საგურამოს „დავით გურამიშვილის დარბაზის“ სამეცნიერო ხელმძღვანელი...

თავს ვალდებულად ვთვლი, მოგმართოთ და თავად გაუწყოთ, რომ 2022 წლის 27 ოქტომბერს „დავით გურამიშვილის დარბაზის“ მთავარდამფუძნებლისა და იდეის ავტორის, საგურამოს მკვიდრის, სახალხო მთქმელის, დიდი ივანე ჯავახიშვილის საგვარეულო შტოს წარმომადგენლის, ამასთან წმინდა მამა გაბრიელ სალოსის უახლოესი ადამიანის, ჩვენი დიდი წინაპრის დავით გურამიშვილის უდიდესი თაყვანისმცემლის, გიორგი ჯავახიშვილის განმგებლობითა და მონაწილეობით, საგურამოს ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, საგურამოს მართლმადიდებლური ეკლესიის მოძღვრის, მამა ტარიელის ლოცვა-კურთხევით, შესდგა „დავით გურამიშვილის დარბაზის“ პირველი საწარდგინებო სხდომა, საგურამოს წარმომადგელთა და მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ქალბატონ შორენა არჯევანიძისა და მისი თანამშრომლების და საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას ქალიშვილის თამთა კოსტავას თანდასწრებით„დავით გურამიშვილის დარბაზის“ აღნიშნული პირველსაწარდგინებო სხდომის შესახებ მიმოხილვა და მხარდაჭერა გამოქვეყნდა გაზეთ „საერთო გაზეთში“. სატელევიზიო ინფორმაცია გაავრცელა ტელევიზია „პრეს-კავკასიამ“.

დავით გურამიშვილის გარდაცვალებიდან ორი საუკუნის შემდეგ ინება უფალმა და მის მშობლიურ სოფელში, საგურამოში, საგურამოს ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შეკრებილ თანამემამულეთა მიერ, „დავით გურამიშვილის დარბაზის“ პირველივე საწარდგინებო სხდომაზე დაისვა საკითხი დიდი ქართველი მგოსნისა და დიდაქტიკოსის დავით გურამიშვილის, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ქართველთა „იობად“ წოდებულის, წმიდანად შერაცხვისა და მისი საფლავის დაცვის შესახებ, ამასთან მისი ნეშტის გადმოსვენების შესახებ, უკრაინის ქალაქ მირგოროდის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის ეზოდან მის სამშობლოში სოფელ საგურამოში.

იხ. 7 გვ.



# მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის გაკვეთილები

## ირაკლი ღარიბაშვილი: 1. 2008 წელს ჩვენც გვქონდა ომი რუსეთთან, მას ჩვენი ისტორიული ტერიტორიები ოკუპირებული აქვს და ორი სამხედრო ბაზა გააჩნია ჩვენს ტერიტორიაზე

– უპირველეს ყოვლისა, მადლობას მოგახსენებთ ამ თემატური დისკუსიის ორგანიზებისთვის. ეს მართლაც ისტორიული შემთხვევაა, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის ლიდერი ერთად ვართ, ეს უკვე არის წარმატება, წარმატებული შემთხვევა, მადლობას გიხდით ამ თემატური დისკუსიის ორგანიზებისთვის.

რაც შეეხება ომს უკრაინაში. რა თქმა უნდა, ეს არის დიდი გამოწვევა ყველა ჩვენგანისთვის. მას შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომი დასრულდა, მსოფლიოს არც განუცდია მსგავსი მასშტაბის გამოწვევა. თქვენ იცით, რომ 2008 წელს ჩვენც გვქონდა ომი რუსეთთან. მას შემდეგ, რუსეთს ჩვენი ისტორიული ტერიტორიები ოკუპირებული აქვს, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი.

ორი სამხედრო ბაზა გააჩინა ჩვენს ტერიტორიაზე რუსეთმა. მას შემდეგ ჩვენ ბევრი პრობლემა გამოვიარეთ, ბევრი გამოწვევა გვქონდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, 2012 წელს, ძალიან დიდი ძალისხმევა გავწიეთ დეესკალაციის კუთხით. დეესკალაციასთან ერთად, ძალიან აქტიურად ვთანამშრომლობთ ევროპული ინტეგრაციის გზაზე.

საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების შეთანხმებას, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის ჩათვლით, უვიზო მიმოსვლა გაგვაჩნია და გასულ წელსაც, ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო ევროპულმა საბჭომ, როდესაც ევროპული პერსპექტივა მიანიჭა საქართველოს.

თქვენს კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით ვიტყვი შემდეგს: ამ ომს უკრაინაში ყველაზე აქვს გავლენა. ჩვენ ახლა ვხედავთ, რომ აქცენტი კეთდება რუსეთის მხრიდან უკრაინაზე. ეს არის დამანგრეველი ომი და მე უნდა ვთქვა, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს ამ ომის შესაჩერებლად!..

## 2. სააკაშვილი კარგი მსახიობია - რაც თქვენ გესმით, რასაც ხედავთ, ვიდეოთი, ფეისბუქზე, სოციალურ ქსელებშიარ წარმოადგენს რეალობას!

– მე არ მინდა სპეკულირება ამ საკითხზე. ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი კერძო კლინიკაში მკურნალობს. ხალხმა მინდა იცოდეს, რომ საქართველოში წელიწადნახევრის წინ ჩამოვიდა, პირველ ოქტომბერს... იდეა მისი დაბრუნებისა იყო რევოლუციის მოხდენა და მასობრივი მკვლელობების ინსპირირება. წარუმატებელი აღმოჩნდა მისი გეგმა და ციხეში აღმოჩნდა. ჩვენ გადავიყვანეთ კერძო კლინიკაში, ხალხს აღარ გადავღლი დეტალებით, მაგრამ რადგან კითხვა დაისვა, მინდა, პასუხი გავცე. ის მკურნალობს კერძო კლინიკაში რვა თვეზე მეტია უკვე. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს მაქსიმალურ კომფორტს და მკურნალობას, ყველა პრივილეგიას, რაც არ გაჩნია სხვა პატიმარს.

თქვენ ახსენეთ კადრები, ფოტოები, მე იმას ვიტყვი, რომ ბატონი სააკაშვილი კარგი მსახიობია. საქართველოს მთავრობა ყველაფერს აკეთებს, მაქსიმალურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს. ჩვენ შევთავაზეთ მის ოჯახს, ჩამოიყვანონ ნებისმიერი ექიმი ნებისმიერი კლინიკიდან, ნებისმიერი ქვეყნიდან, თუ ჭირდება რეალურად მკურნალობა, ეს არის ჩემი პასუხი.

ასევე მინდა ვახსენო, რომ ალბათ, თქვენ გინახავთ ძალიან ბევრი მცდარი ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება სააკაშვილის ოჯახის ლობისტური ფირმების მიერ, მაგალითად ერთ-ერთ ფაქტს დავასახელებ, გასულ თვეში გაჟღერდა, რომ მილიონი დოლარი გადაიხადა მისმა ოჯახმა, აგრესიული მედიაკამპანიის საწარმოებლად მთელ მსოფლიოში, რაც თქვენ გესმით, რასაც ხედავთ, ვიდეოთი, ფეისბუქზე, სოციალურ ქსელებში, არ წარმოადგენს რეალობას, ამიტომ არავინ არ დგას კანონის ზემოთ. ჩვენ გვაქვს ძლიერი დემოკრატია საქართველოში, ვაშენებთ დემოკრატიულ ინსტიტუტებს, ეს არის დემოკრატიის არსი, რომ არავინ უნდა იდგეს კანონზე ზემოთ. სააკაშვილმა მძიმე დანაშაულები ჩაიდინა გირგვლიანის მკვლელობიდან დაწყებული ყოფილი პარლამენტარის ცემით. კერძო ტელევიზია „იმედში“ შეიჭრა სპეცრაზმი. ორი დღე კონტეინერში გაატარა კაცმა, როდესაც საქართველოში შემოვიდა ოდესიდან, რომ რევოლუცია მოეხდინა, ეს არის ამბავი. მე არ მინდა, რომ ამ ადამიანზე ვისაუბრო ამ პანელზე და ასეთი პასუხი მინდა, გაგცეთ კითხვაზე...

* * *

**P. S.** მიუნხენში, უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში პანელი „მოძრავი მთები – უსაფრთხოების მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში“ მიმდინარეობს. პანელში მონაწილეობენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი.

---

## ურსულა ფონ დერ ლაიენი: მზად ვართ, გავაგრძელოთ მუშაობა საქართველოსთან, რათა ქვეყანამ მაქსიმალურად გამოიყენოს ევროკავშირის საინვესტიციო გეგმა...



**ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრას სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ ეხმაურება.**

როგორც ურსულა ფონ დერ ლაიენი აღნიშნავს, ევროკავშირი მზად არის, გააგრძელოს მუშაობა საქართველოსთან ერთად, რათა ევროკომისიის მიერ, 2022 წლის ივნისში განსაზღვრული 12 რეკომენდაციის შესრულების კუთხით, ქვეყანამ პროგრესს მიაღწიოს და მაქსიმალურად იყოს გამოყენებული ევროკავშირის ეკონომიკური საინვესტიციო გეგმა.

**„კარგი შესაძლებლობა მქონდა საქართველო-ევროკავშირის დღის წესრიგის ძირითადი საკითხები განმეხილა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად. მზად ვართ, გავაგრძელოთ მუშაობა საქართველოსთან ერთად, რათა ევროკომისიის მიერ 2022 წლის ივნისში განსაზღვრული 12 რეკომენდაციის შესრულების კუთხით ქვეყანამ პროგრესს მიაღწიოს და მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ევროკავშირის ეკონომიკური საინვესტიციო გეგმა, განსაკუთრებით შავი ზღვის დამაკავშირებელი პროექტების განსავითარებლად“**, – აღნიშნავს ურსულა ფონ დერ ლაიენი.

---




**ცხოვრება რომ კინოა, გნებავთ – სარკე, უკვე კარგახანია შეთანხმდა კაცობრიობა. დიახ, ეკრანზე შექმნილი შედევრებით გენიალურმა ხელოვანებმა უტყუარი პასუხი გასცეს ურწმუნო თომებს, რომლებსაც აეჭვიანებდათ, იყო კი შესაძლებელი ფირზე აღბეჭდვით ყოველდღიურობაში დამკვიდრებული მანკიერებისა თუ უკეთურობის მხილება.**

ვივაჭროთ? – ხომ გახსოვთ პოპულარული ეპიზოდი „არაჩვეულებრივი გამოფენიდან“ ან „კავკასიელ ტყვე ქალში“ გაჩაღებული აღებ-მიცემობა ამხანაგ საახოვისათვის „კრასივაია სტუდენტკასა“ და „კამსამოლკას“ მოტაცების საზღაურის თაობაზე: ოცი ცხვარი თუ ოცდახუთი?

სწორედ ეს ფრთოსანი გამოთქმები და უკვდავი პერსონაჟები გაგახსენდება კაცს, როცა კორუფციის ბუდედ ქცეული ევროპარლამენტის სულგაყიდული ზოგიერთი დეპუტატის აღვირახსნილ კამპანიას მიადევნებ თვალს, ნაგლად რომ ცდილობენ „ვივამედის“ კლინიკის ვიპ-პალატიდან დაიხსნან წელიწადნახევრიანი წამებისა და ტანჯვის, სინამდვილეში განცხრომა ის შემდეგ ვითომ მომაკვდავი, თუმცა დე ფაქტო უკვდავი დემოკრატიის შუქურა მიხეილ სააკაშვილი.

ვეკითხები ჩვენს მთავრობას: რატომ არ პასუხობს მოთხოვნაზე შემხვედრი მოთხოვნით უკრაინის მოქმედი და ჩვენი ქვეყნის ყოფილი სამარცხვინო მოქალაქის „აპეკუნებსა“ თუ პატრონებს: რომ მოაბეზრეთ მთელ საქართველოს თავი, თუ პუტინისა და ოლიგარქის პირად ტყვეს არ გადაიყვანთ სამკურნალოდ რომელიმე ევროპულ ან ამერიკულ მრავალპროფილურ კლინიკაში, ისე ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს ვერ ეღირსებითო, იქნებ ჯერ სტატუსი გაიმეტონ ჩვენი სამშობლოსთვის და შემდეგ იტვირთონ დედა ტერეზას ფუნქცია. მართლაც, თუ ვაჭრობაა, ვაჭრობა იყოს – მე თქვენ გეტყვით, მათთვის უცხოა ძღვენების მიღება როგორც ნაღდი, ანუ მწვანე კუპიურების, ისე ნატურის სახით.

## წუმპე ყველგან წუმპეა!

თუ კიდევ გაიპრანჭებიან, აგერ არა გვაქვს ცინცხალი მაგალითი სახელწოდებით კატარგეიტი, რომელიც დღესაც გრძელდება და ახალ-ახალ მექრთამეებს წარმოაჩენს. საილუსტრაციოდ მხოლოდ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ევა კაილის დასახელებაც კმარა, რომელმაც ბელგიურ ციხეში არსებული ვითარება დაიწუნა და დაიწუწუნა: 16 საათი სიცივეში მამყოფეს, პლედი არ მომართვეს, შხაპი არ მიმაღებინეს და 2 თვის განმავლობაში ბავშვი არ მანახესო. კიდევ კარგი, ბერძენ ლამაზმანს ნაცების სატუსაღოში არ ანებივრებენ, თორემ ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ ტექსტებს გამოაცხობდა.

როცა ევროპულ მომავალზე ვსაუბრობთ, ძალაუნებურად გვიჩნდება ინტერესი, ვინ უნდა გაუძღვეს ამ თვითდაშლის პროცესში მყოფ ჯერაც ყველაზე დიდ ოპოზიციურ პარტიას. რადგან მისმა ამომრჩევლებმა არჩევანი კეზერაშვილ-მერაბიშვილის კომიკურ მარიონეტზე ლევან ხაბეიშვილზე შეაჩერეს, ძნელია ცხელ გულზე სერიოზულად ვიმსჯელოთ, ამიტომ დაველოდოთ ემოციების დაცხრომას და სათქმელი შემდეგ ვთქვათ...

**გია პლატონიშვილი**

№20. ორშაბათი, 20 თებერვალი, 2023 წელი.



# შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ



**სახეზეა ყველა ნიშანი იმისა, რომ ევროკავშირი ახალ საბჭოთა კავშირად გარდაიქმნა, საბჭოთა კავშირად, როგორც ფორმით, ისე შინაარსით.**

რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებულ წერილში ვწერდი, „ვაი“-ს კი გავეყარეთ, მაგრამ ვეჭვობ, „უი“-ს შევეყარეთ-მეთქი. **ევროპარლამენტის სამარცხვინო რეზოლუციამ** კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ევროკავშირს არ შესწევს უნარი, თავი დააღწიოს პოლიტიკური სატელიტის უღირსებო მდგომარეობას.

**უკრაინის ომმა საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედი გლობალური ომის პარტიის სრული ლუსტრაცია მოახდინა.** მოცემული მომენტისთვის მისი შემადგენელი სუბიექტების სია ასე გამოიყურება:

ა) ევროპის ფილიალი:

– **ევროპარლამენტი,** მრავალ კორუფციულ სკანდალში გახვეული ევროპის სახალხო პარტიისა (EPP) და ათამდე ევროდეპუტატის ლიდერობით;

– **უკრაინის მარიონეტული ხელისუფლება;**

– **შვეიცარიის საბანკო სისტემა;**

– **კარლ ბილდტის დაჯგუფება.**

ბ) აშშ-ის ფილიალი:

– **ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში;**

– რამდენიმე **ამერიკელი კონგრესმენი და სენატორი;**

– რამდენიმე **ამერიკელი ექსპერტი;**

- რამდენიმე **ამერიკული ლობისტური კომპანია.**

– ამერიკული არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების ორი ფლაგმანი, **ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)** და **რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI).**

გ) რუსეთის ფილიალი:

– ამერიკელ კოლეგებთან კოორდინაციაში მყოფი, საქართველოს თემატიკაზე მომუშავე **რუსული სპეცსამსახურები, თავისი ქვედანაყოფებითა და აგენტურით.**

დ) საქართველოს ფილიალი, ანუ **ლოკალური ომის პარტია:**

– მრავალ სისტემურ დანაშაულში მხილებული „პოლიტიკური გაერთიანება“, **„ნაციონალური მოძრაობა“;**

– ნაც-კრიმინალების **სატელიტი პოლიტიკური პარტიები;**

– ნაც-კრიმინალების მყარი სტრუქტურული ქვედანაყოფები, **ამერიკელი გადამხდელების ფულით დაფინანსებული** ქართული აგენტოკრატიის მეწინავენი, პოლიტიკურ ბატალიებში არაერთგზის გამოცდილი **მდიდარი „არასამთავრობო ორგანიზაციები“;**

– **აგვისტოს ომის დროს ნაძარცვი ფულით დაფინანსებული მედია-საშუალებები;**

– ქართული აგენტოკრატიის არიერგარდი, **ე.წ. ექსპერტები;**

– რამდენიმე **„-ისტი“ მღვდელმსახური,** მათ შორის, **უმაღლესი სასულიერო იერარქიის ერთი-ორი წარმომადგენელი** (ღმერთო, მაპატიე და... ნაკურთხი წყალი რომ დააქვთ „ბაკლაჟკებით“ მოუნანიებლად საზიარებელი კლიენტების „საკურნებლად სულისა და ხორცისა“, ცოტა თავადაც რომ იპკურონ, ვფიქრობ, არ იქნება ურიგო ამბავი)!...

ზემოთ შემოთავაზებული ჩამონათვალის უტყუარობა მრავალი ფაქტით არის გამაგრებული. რჩება პასუხი **მთავარ კითხვაზე - ვინ შეიძლება უძღვებოდეს ამ მრავალგანშტოებიანი სტრუქტურული ერთეულის მართვის პროცესს? სად იწერება საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო სცენარები? სად იმყოფება ის ავადსახსენებელი „ერთი ცენტრი“?**

კითხვა იმიტომ დავტვირთე და დავამძიმე, რომ მკითხველის განწყობა რაღაცნაირად დამემუხტა, თორემ **ამაზე იოლად პასუხგასაცემ კითხვას პირველი კლასის სახელმძღვანელოშიც ვერ ნახავთ.** როცა საქმე ამერიკა-ევროპა-საქართველოს ერთობლივ გეგმას ეხება, რასაკვირველია, მთავარი და გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის...

– აბა, მითხარით, ბავშვებო, მთავარი და გადამწყვეტი სიტყვა ვის ეკუთვნის?

– ამერიკას, მასწ, ა-მე-რი-კას(!)...



– ანუ-უ?..

– ანუ-უ, „ვაშინგტონის კრემლს“!

– სწო-ო-რი-ა, ყოჩაღ(თ)(!).

პო-ო-და, ევროპის სახელმწიფოებო, დასხედით და არ იხმაუროთ, თორემ, **თუ „ძია სემი“ მოინდომებს, თქვენთვისაც გამოინახება თქვენი ტომის სააკაშვილები, ადეიშვილები, ახალაიები, მეგის ქარდავები** და იცოდეთ, გაილახ... უი, არა... დაიჩინჩლებით...

ამით იმის თქმა მინდა, რომ **პასუხისმგებლობისგან სრულიად დაცლილმა,** (ანუ „ზემოდან“ კარნახით), **თუ შეგიძლია კრიმინალ-მანიაკი და ქვეყნის გამყიდველი სააკაშვილი მსხვერპლად გამოაცხადო** და **ჩემი სამშობლოს დიდი მოამაგის, ბიძინა ივანიშვილის დასჯა მოითხოვო მხოლოდ იმის გამო, რომ პატრიოტია და ვერც ზეწოლით და ვერც შანტაჟით ვერ აიძულე თავის ქვეყანაში წინასწარ დამარცხებისთვის განწირული ომის პროვოცირება, ასეთ ევროპაში არაფერი გვესაქმება.**

საბჭოთა კავშირი იყო **დაპყრობილ სახელმწიფოთა იძულებითი ერთობა.** დღევანდელი ევროკავშირი არის **უმოქმედობისგან დასნებოვნებულთა ერთობა,** რომელმაც **ნებაყოფლობით გადააბარა თავისი ყველა ფუნქცია პოლიტიკურ მონსტრს** და ერთადერთი ინტერესი ამოძრავებს - **მუდმივად მაძღარი იყოს.**

„ვაი“-ს რომ ვეყრებოდით, იმ წლებში ბევრი რამ ვისწავლეთ და **სანამ „უი“-ს გოლომდე შევყრივართ, იქნებ ფიქრისთვის ცოტა დრო კიდევ დაგვეთმო?** ერთ ჩემ ძველ წერილში, იმხანად შექმნილი მდგომარეობის დახასიათების მიზნით, მაგალითად მოვიყვანე ეპიზოდი ელდარ შენგელაიას გენიალური ფილმიდან, **ციხე-ქვევრიდან გაქცეულებმა ისევ ქვევრში რომ ამოყვეს თავი.** სწორედ ეს დროა.

**ბიძინა დვალი,**
16.02.2023 წ.

# რემბო და შერიფი დღევანდელ ევროპაში

**ყველას გვაქვს ნანახი ამერიკული ფილმის „რემბოს“ პირველი სერია.**

**იმ პატარა ამერიკული ქალაქის შერიფი და მისი თანამშრომლები (სადაც მოქმედება ვითარდება) თავიანთი მანიაკალური სიჯიუტით, გონებრივი სიბლაგვით (ТУПОСТЬ) ზუსტად არიან კუბილიუსების, ფოტიგების და მსგავსი ევროპელი პარლამენტარების პროტოტიპები.**

**„ამ ქალაქში კანონი მე ვარ!“ ამბობს შერიფი და მაყურებელში კანონის დამცველის მიმართ ზიზღს ბადებს. ზუსტად ასეთი განწყობა გააჩინეს ევროპარლამენტარებმა, რომლებმაც სასწორის ერთ პინაზე რაღაც ეფემერული „კანდიდატის სტატუსი“, ხოლო მეორეზე ნამდვილი ევროპული ფასეულობები დადეს.**

ცხადია საკმაოდ მწვავე შეფასებები მოჰყვა ევროპარლამენტის ბოლო რეზოლუციას, რომელიც სააკაშვილს წარმოგვიჩენს როგორც ბიძინა ივანიშვილის პირადი შურისძიების მსხვერპლს, მის სასწრაფოდ განთავისუფლებას მოითხოვს და ამ აქტის საპირწონედ საქართველოს ევროპულ ოჯახში ინტეგრაციაზე უარის თქმით აშკარა შანტაჟს აანონსებს.

ეს პროცესი ძალიან კარგად ახსნა შალვა პაპუაშვილმა – **გადაწყვეტილების მიღების პროცესს აქვს თავისი სპეციფიკა ევროპარლამენტში, როდესაც არის პარლამენტარების ჯგუფი, ვინც პასუხისმგებლობას იღებს თავის თავზე, ამა თუ იმ ქვეყანაზე, შემდეგ დეპუტატების ნაწილი ამას მიჰყვება, თუმცა ამ შემთხვევაში კიდევ არის ერთი მომენტი, რომ არის აღებული ძალიან მარტივი პროპაგანდისტული ხაზი, რომელიც ყალბ დილემებს ქმნის და ეს ყალბი დილემა, ჩვენ ვხედავთ, არის ასე, რომ სააკაშვილის სიკვდილი თუ ევროკავშირის წევრობა.**

სწორედ ასეთი დილემის წინაშე დადგა ევროპარლამენტი და ცხადია ის იდიოტური რეზოლუცია მიიღო, მაგრამ ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ევროპულმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით საქმეზე „ოჩიგავა საქართველოს წინააღმდეგ“ კიდევ ერთხელ ამხილა სააკაშვილის სისტემა, როგორც გულაგების სისტემა, სადაც იყო წამება, ცემა-ტყეპა, გაუპატიურება და რომ სწორედ სააკაშვილი იყო ამ სისტემის შემქმნელი.

არაფერს ვიტყვი იმ დანაშაულების შესახებ, რის გამოც სააკაშვილს შებღუდული აქვს გადაადგილება (იმ პირობებს, რომელშიც ის იმყოფება, ძალიან ძნელია „სასჯელის მოხდა“ უწოდო), უბრალოდ, მინდა ვთქვა ის მთავარი მიზეზები, რის გამოც ზოგიერთი დასავლეთელი პოლიტიკოსი თავგადაკლული გამოდის სისხლის სამართლის ამ დამნაშავის დასაცავად.

მოდით, დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ვთქვათ, რომ აგრესიულმა ლიბერალიზმმა, რომლის განხორციელების პოლიგონად საქართველო არასამთავრობო სექტორმა და სააკაშვილის რეჟიმმა აქციეს, სრული კრახი განიცადა. და ეს კრახი საზოგადოების მხრიდან ფსევდო-ლიბერალების მიერ შემოგდებული იდეებისა და მსოფლმხედველობის გააზრებულმა და მენტალურმა მიუღებლობამ გამოიწვია.

ფსევდო-ლიბერალები დაუპირისპირდნენ ყველაფერს ქართულს, იმ ღირებულებებს და იმ ტრადიციებს რაც არა მხოლოდ ქართულ, ზოგადად იმ ნორმალურ, ადამიანურ ბუნებაში იჯდა, რაც ევროპაში და მსოფიოში საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა.

დაუპირისპირდნენ რწმენას (არა მხოლოდ ქრისტიანულს), დაუპირისპირდნენ პირად ცხოვრებას, დაუპირისპირდნენ კერძო საკუთრებას და 2003 წელს რეჟიმის დამყარებისთანავე თეორიული დებატების ფორმატი ძალისმიერი მეთოდებით შეცვალეს.




მათ გაილაშქრეს უმთავრესის, სიცოცხლის უფლების წინააღმდეგ, რომელიც საზოგადოებაში შიშის გაჩენას ემსახურებოდა.

ამ ყველაფრის მოსპობას ფორსირებულად ემსახურებოდა მიკერძოებული კრიტიკული მედია, რომელიც ქმნიდა ფსევდო-ინტელექტუალებს, ფსევდო-ინტელიგენციას. ქმნიდა ფსევდო-კულტურას და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოქმედებდა ადამიანის გონების გამორეცხვაზე.

ნებისმიერი აზრი, რომელიც მიმართული იყო ფსევდო-ლიბერალიზმის წინააღმდეგ, იფუთებოდა როგორც რუსული პროპაგანდა, სიბნელე და დასავლური ღირებულებების ღალატი.

იხ. 4 გვ.



**საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერის, ეკონომიკის ექსპერტის თემურ ბასილიას განცხადებით, სააკაშვილის საქართველოში გამოგზავნა ორგანიზებული იყო უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ, რომლებიც დაინტერესებულნი გახლდათ საქართველოს ჩართვით საომარ მოქმედებებში. მისი თქმით, რატომღაც ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ სააკაშვილის გამოჩენა საქართველოში გამოიწვევდა ხელისუფლების ცვლილებას და შესაბამისად, საქართველოს პირდაპირ ჩართვას ომში.**

**დღეს FOR.GE თემურ ბასილიას ესაუბრება.**

# თემურ ბასილია: ამერიკას და ევროგაერთიანებას არასოდეს მოუთხოვია საქართველოსგან მეორე ფრონტის გახსნა!

**– ევროკავშირი რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მეათე პაკეტზე მუშაობს. რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ახალი პაკეტი, სავარაუდოდ, 24 თებერვალს იქნება მზად. როგორც ირკვევა, დაწესებული სანქციების მიუხედავად, დასავლური კომპანიების უმრავლესობა რუსეთში ბიზნესს ჩვეულებრივ აწარმოებს. კერძოდ, რუსული ბაზარი ევროკავშირის და G7-ის ქვეყნების კომპანიების მხოლოდ 8.5%-მა დატოვა. მათ შორის უმეტესობა – 18% ამერიკული კომპანიაა. ევროკავშირში ბაზირებული კომპანიების დონე 8.3%-ს შეადგენს, იაპონურებისა კი 15%-ს. ბატონო თემურ, რით ხსნით იმას, რომ სანქციების მიუხედავად, რუსულ ბაზარზე ისევ რჩებიან დასავლური ფირმები?**

– ძალიან დიდი პასუხისმგებლობა არის დაკისრებული იმ კომპანიებზე, რომლებიც დაარღვევენ სანქციებს. ამიტომაც, ამ კომპანიებს არ უღირთ სანქციების დარღვევა, რადგან ეს არა მხოლოდ ფინანსურ ზიანს გამოიწვევს, არამედ ამ კომპანიებისა და მათი ხელმძღვანელების მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც. ამიტომ, რუსულ ბაზარზე რჩებიან მხოლოდ ის კომპანიები, რომლებიც ისეთ სფეროებზე საქმიანობენ, რომლებზეც არ არის სანქციები გამოცხადებული.

**– საქართველოს ხელისუფლებამ ღიად თქვა, რომ საერთაშორისო სანქციებს საქართველო არის მიერთებული და როგორც სახელმწიფო, იგი ამას იცავს, მაგრამ, ცალმხრივად, სანქციებს არ აწესებს. ბატონო თემურ, როგორ ფიქრობთ, შეეძლო კი საქართველოს ცალმხრივად სანქციების დაწესება და თუ შეეძლო, მაშინ როგორ ფიქრობთ, რატომ არ გააკეთა?**

– საქართველო ნამდვილად არის მიერთებული ყველა საერთაშორისო სანქციას და საერთაშორისო თანამეგობრობა ხედავს და აფასებს ამას. რაც შეეხება ცალმხრივად სანქციების დაწესებას, ასეთი რამ საქართველოსთვის არც აშშ-ს და არც ევროგაერთიანებას მოუთხოვია. ვინც საქართველოს მიმართ ასეთ მოთხოვნას აყენებს, ეს უკრაინის ხელისუფლება და მათთან დაკავშირებული პირები არიან. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ მიმართულებით საქართველო მაქსიმუმს აკეთებს. ხოლო, ცალმხრივი სანქციების დაწესებით ზიანი უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მიადგებოდა.

**– უკრაინის ხელისუფლება ბრალს სდებს საქართველოს იმაში, რომ ქვეყანა არ შეუერთდა რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს და მეტიც, საქართველო არის ის ქვეყანა, რომლის ტერიტორიიდან რუსეთში შედის სანქცირებული ტვირთი. ბრალდების მიუხედავად, უკრაინის ხელისუფლებას მტკიცებულება ამ დრომდე არ წარმოუდგენია. თქვენთვის რამდენად სანდოა ეს ინფორმაცია და როგორ ხსნით უკრაინის ხელისუფლების ამ ბრალდებას?**

**სააკაშვილის საქართველოში გამოგზავნა ორგანიზებული იყო უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ...**

– იმის მიუხედავად, რომ უკრაინის ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები და მათთან ასოცირებული პირები ბრალს სდებენ საქართველოს სანქციების თავიდან აცილების საქმეში, რეალური მტკიცებულება ამის თაობაზე არავის წარმოუდგენია. როგორც აშშ-ის ელჩმაც არაერთხელ აღნიშნა, ეს ქვეყანა მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს საზღვრის დაცვის და საბაჟო სამსახურებთან. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მართლაც რომ ხდებოდეს საქართველოს მხრიდან რაიმე დარღვევა, ეს აშშ-ის ხელისუფლებას ეცოდინებოდა.

**– ამ კონფლიქტში საქართველო გულშემატკივრობს უკრაინას, მაგრამ ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და არ შედის ამ კონფლიქტში. თუმცა, როგორც პრემიერი აცხადებს, ქვეყანამ აირიდა ომი. მისი თქმით, მცდელობა, რომ რამენაირად გადმოსულიყო ეს კონფლიქტი ჩვენს ქვეყანაში, არ ჩერდება. მოგეხსენებათ, რომ „ხალხის ძალა“ ღიად ადანაშაულებს საქართველოში აშშ-ის ელჩს იმაში, რომ ამერიკის ხელისუფლების სახელით მოითხოვა და ითხოვს მეორე ფრონტის გახსნას. ბატონო თემურ, აშშ-ის პოზიცია არის რეალურად ჩვენს ქვეყანაში მეორე ფრონტის გახსნა? ითხოვენ ამას საქართველოს ხელისუფლებისგან?**

– მაქვს გარკვეული კონტაქტები, ვინც ვაშინგტონში დაკავებულია უკრაინის საკითხებით და გარწმუნებთ, აშშ-ის ხელისუფლებას არასოდეს მოუთხოვია საქართველოსგან მეორე ფრონტის გახსნა. რაც შეეხება უკრაინის ხელისუფლებას, დიახ, მათი ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები ნამდვილად ითხოვდნენ საქართველოს ჩართვას ომში და ამას აკეთებდნენ ღიად და საჯაროდ. ამიტომ, ყველას ვურჩევ, ნუ აურევთ უკრაინის ხელისუფლებას აშშ-ის ხელისუფლებაში.

**– თუ არ ითხოვენ, მაშინ გვითხარით, რას ეფუძნება ხელისუფლების და „ხალხის ძალის“ პოზიცია და თუ ითხოვენ, მაშინ რატომ, რას შეცვლის მეორე ფრონტი უკრაინისთვის?**

– მე არ მაქვს ამ ადამიანებთან კონტაქტი და ამიტომაც არ ვიცი, რა პოზიცია აქვთ მათ, არც ის ვიცი, რას ითხოვენ და რატომ. რაც ზუსტად ვიცი და ეს ვიცი, უშუალოდ იმ პირებისგან, ვინც ვაშინგტონში დაკავშირებულნი არიან უკრაინასთან, აშშ-ს არ უთხოვია საქართველოს ჩართვა საომარ მოქმედებებში. ერთადერთი, რასაც სთხოვენ საქართველოს, გახლავთ საერთაშორისო სანქციების დაცვა და უკრაინისთვის ჰუმანიტარული დახმარება. საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო ორგანიციების ამ თხოვნასთან.

**მეორე ფრონტის გახსნაზე პირდაპირ მოვისმინეთ განცხადებები უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებისგან და როგორც საქართველოს ხელისუფლება ამბობს, ამ მიზანს ემსახურებოდა ყოფილი პრეზიდენტ სააკაშვილის შემოგზავნა საქართველოში და ძალიან ბევრი პროვოკაცია, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“და თვითონ უკრაინის ხელისუფლებისგან მოდის. ფიქრობთ, რომ სწორედ ამ მოტივით შემოიყვანეს სააკაშვილი?**

– მქონდა ამის თაობაზე ინფორმაცია და სწორედ, ამ ინფორმაციის საფუძველზე ჯერ კიდევ გასული წლის თებერვალში ვწერდი, რომ სააკაშვილის საქართველოში გამოგზავნა ორგანიზებული იყო უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ, რომლებიც დაინტერესებულნი გახლდათ საქართველოს ჩართვით საომარ მოქმედებებში. რატომღაც ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ სააკაშვილის გამოჩენა საქართველოში გამოიწვევდა ხელისუფლების ცვლილებას და შესაბამისად საქართველოს პირდაპირ ჩართვას ომში.

რამდენიმე დღის წინ გორდონთან ინტერვიუზე გახლდათ უკრაინის საგარეო დაზვერვის ყოფილი უფროსი, არმიის გენერალი ნიკოლაი მალომუჟი. გასული საუკუნის 80-იან წლებში ეს პიროვნება გახლდათ საბჭოთა უშიშროების წარმომადგენელი კიევის უნივერსიტეტში, სადაც სააკაშვილი და პოროშენკო სწავლობდნენ. ამ ინტერვიუში იგი საუბრობს, როგორ „მუშაობდნენ“ როგორც სტუდენტებთან, ასევე, მასწავლებლებთან, მათ შორის, სააკაშვილთან და პოროშენკოსთან. როგორც იგი აცხადებს, საბჭოთა უშიშროების მიერ მოხდა სააკაშვილის „დავერბოვკება“ მისი კიევის უნივერსიტეტში სწავლის დროს. ასევე, საუბრობს, როგორ გამოაგზავნეს სააკაშვილი საქართველოში სამოქალაქო ომის დროს, როგორ დააბრუნეს უკან კიევში და გააგზავნეს სასწავლებლად ამერიკაში. ასევე, როგორ ამზადებდნენ ასეთ „დავერბოვკებულ“ პირებს სახელმწიფოების მეთაურებად, პრეზიდენტებად, პრემიერ მინისტრებად და ა.შ.

ყველას გირჩევთ, მოუსმინეთ ამ ინტერვიუს, ბევრ საინტერესო რამეს გაიგებთ. გარდა ამისა, ნუ დაგვავიწყდება, რომ სწორედ იმავე პერიოდში, 1988-89 წლებში სააკაშვილის ჰოლანდიელი მეუღლე სანდრა სწავლობდა მოსკოვში, საბჭოთა უშიშროების მიერ კონტროლირებად პატრის ლუმუმბას უნივერსიტეტში. ასე რომ, დასკვნები თავად შეიძლება გააკეთოთ.

**– მას შემდეგ რაც რუსეთიდან შეწყდა გაზის მიწოდება, საქართველოზე უნდა გაიაროს გაზის ტრანზიტმა, რომელიც აზერბაიჯანიდან მიდის ევროპისკენ. ასეთ შემთხვევაში, ევროპას არ აწყობს საქართველოში ომი, ან თუნდაც დესტაბილიზაცია, რადგან საქართველოზე უნდა გაიაროს იმ სატრანზიტო მარშრუტებმა, რომელიც რუსეთიდან უკვე სხვა მიმართულებით გადამისამართდნენ. როდესაც გვესმის დესტაბილიზაციისკენ მოწოდებები, რა ძალას აწყობს ეს, რომელიც „ნაციონალური მოძრაობას“ ლობირებს?**

– კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ არც აშშ და არც ევროგაერთიანება არ არიან დაინტერესებულნი, რომ საქართველოში ვითარება აირიოს. რაც მათ აინტერესებთ, გახლავთ, რომ საქართველომ დროულად შეასრულოს ევროგაერთიანების 12 რეკომენდაცია და, რომ საქართველომ მიიღოს ევროგაერთიანების წევროების კანდიდატის სტატუსი.

**ესაუბრა,**
**თამთა ქარჩავა**

# რემბო და შერიფი დღევანდელ ევროპაში

**(მესამე გვერდიდან)**

ამ პერიოდში წარმატებით მუშაობდნენ ის ფსევდო-ოპოზიციონერები, რომელთა ლუსტრაცია მხოლოდ ორიოდე წლის წინ მოხდა. ბუნებრივია, რომ ამ წნეხში მოქცეული ქართველი საზოგადოება ნელ-ნელა კარგავდა ბრძოლის უნარს, იკეტებოდა თავის მიკრო-სამყაროში და იწყებდა შეგუების რეჟიმში ცხოვრებას.

და 2012 წელს, როცა აგრესიული ლიბერალების უღლის ზეწოლამ მაქსიმუმს მიაღწია, მოხდა გარდამტეხი მოვლენა - საქართველო განთავისუფლდა!!!

განთავისუფლდა არა ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილი პოლიტიკური ძალის საშუალებით, არამედ იმ ნდობის მეშვეობით, რაც ბიძინა ივანიშვილს ქართველმა ხალხმა გამოუცხადა.

ბუნებრივია, ქართველი ფსევდო-ლიბერალების უცხოელმა პარტნიორებმა, რომელთა ხელდასხმითაც ხდებოდა საქართველოზე ფორსირებული ძალადობა, საქართველოს და ივანიშვილს თავს მოახვიეს კოჰაბიტაცია, რითიც ყოფილი რეჟიმის დაბრუნების წინაპირობა შექმნეს.

„ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანებულმა ე.წ. ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა (მათ „პარტიას“ ვერ ვუწოდებ) ამ დამაზიანებელ პროცესს მაქსიმალურად შეუწყვეს ხელი, მაგრამ თავიანთი გონებრივი მონაცემებიდან გამომდინარე, „საქმის“ ბოლომდე მიყვანა ვერ მოახერხეს.

სწორედ ის, რომ ქართველი საზოგადოება არ დაემორჩილა აგრესიული ლიბერალიზმის მოთხოვნებს, ის რომ ქართველმა საზოგადოებამ მყარად დაადასტურა თავისი დამოკიდებულება რწმენის, ღირსეული ფასეულობების მიმართ, გახდა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული შანტაჟის და არეულობის მოწყობის მთავარი მიზეზი, ხოლო ბიძინა ივანიშვილი, როგორც ფსევდო-ლიბერალიზმთან ბრძოლის სიმბოლო, პირდაპირი დარტყმის ობიექტი.

ეს ფსევდო-ლიბერალები იმდენად არიან ჩაკეტილნი თავიანთ აგრესიულ, მდაბიო აზროვნებაში, რომ სჯერათ თავიანთი ანტიეროვნულ ქმედებების წარმატების.

**ასე რომ, იმ რეზოლუციამ ფაქტობრივად გააშიშვლა აგრესიული ლიბერალების მანიაკური ლტოლვა, დაარტყან საქართველოს, დააზიანონ ჩვენი გონიერი საზოგადოების მისწრაფება, შექმნან ნორმალური სახელმწიფო და იქ კონკრეტულად სააკაშვილი არაფერ შუაშია. ის ამ შემთხვევაში ფსევდო-ლიბერალიზმის განსხეულებას წარმოადგენს და ბიძინა ივანიშვილზე შეტევა, ქართულ მენტალობაზე და კანონის უზენაესობაზე პირდაპირი დარტყმაა!**



**გია გაბრიჭიძე**



## ზაზა ფირალიშვილი:

# საკუთარ ბედს ვერ კი არა, არ ვქმნით!



**ბიძინა ივანიშვილი სრულიად უგრძნობელია იდეოლოგიების მიმართ... მისთვის მთავარია შედეგი!**

**– ბატონო ზაზა, როდესაც რუსეთმა უკრაინაში მასშტაბური ომი გააჩაღა, საწყის ეტაპზე მმართველი გუნდის წევრები თითქოს ცდილობდნენ თავის მართლებას დაკავებული პოზიციის გამო, შემდეგ გაჩაღდა საქართველოსთვის უპრეცედენტო მასშტაბის ანტიდასავლური კამპანია და ახლა უკვე ყოველდღიურად უფრო და უფრო მძიმე შინაარსის განცხადებების მოსმენა გვიწევს. მეორე მხრივ, საზოგადოებრივი კვლევების მიხედვით, ქართველ საზოგადოებაში სტაბილურად მაღალია პროდასავლური კურსისადმი მხარდაჭერა, ასევე რუსეთის, როგორც საფრთხის აღქმა. ანტიდასავლური განცხადებების მიმღებლობა და ქვეყნის დეკლარირებული საგარეო კურსის მიმართ საზოგადოების განწყობა ერთმანეთთან თანხვედრაში როგორ მოდის? თქვენ რა ახსნა გაქვთ?**

– ვიდრე არ იარსებებს პოლიტიკური ძალა, რომელშიც საზოგადოება თავისი პოლიტიკური ნების განმახორციელებელს დაინახავს და რომელზედაც მოახდენს თავისი აზრის, განწყობების დელეგირებას, მანამდე, მიუხედავად იმ სურათისა, რაც საზოგადოებრივი კვლევის შედეგებიდან ჩანს, პასიური იქნება. უნდა არსებობდეს პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც ნდობის კრიტიკულად მაღალ ხარისხს ატარებს. სამწუხაროდ, დღეს ოპოზიციაში ასეთი პოლიტიკური ჯგუფი არ არსებობს. ვფიქრობ, ესაა მთავარი მიზეზი.

**– და არსებობს რეალური აღქმა ვითარების? რას ნიშნავს, როდესაც საგარეო ვექტორთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები ჩნდება, იცვალა თუ არა კურსი საქართველომ?**

– ვფიქრობ, რომ საზოგადოების საკმარისად დიდ ნაწილს აქვს ამის აღქმა. მაგრამ ნუ გვექნება ილუზია, რომ აბსოლუტურად ყველას ჰქონდეს ეს გააზრებული. მსგავსი რამ არ ხდება – შეერთებულ შტატებშიც არაა მთელი საზოგადოება აქტიურად ჩართული პოლიტიკურ პანორამაში. იქაც არიან ადამიანები, და არც თუ ცოტა, რომელთაც შესაძლოა, საკუთარი ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტის სახელიც არ იცოდნენ. ამდენად, ნუ გაგვაკვირვებს, რომ ვიღაცეებმა შესაძლოა, არც იცოდნენ, რადგან ცხოვრობენ იმ მითოსში, რომელშიც დაიბადნენ, რომელიც გადმოეცათ მამებისგან, პაპებისგან: მითოსში სტალინის შესახებ; მითოსში თუ რა ბედნიერად ცხოვრობდნენ საბჭოთა კავშირში და ა.შ. არც უნდათ, რომ გაერკვნენ. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანების წილი ძალიან დიდია ყველა, მათ შორის, ჩვენს საზოგადოებაში. ამავდროულად, არსებობს რაღაც წილი საზოგადოებისა, რომელიც მენტალურად მაინც აქტიურად არის ჩართული მის გარშემო მიმდინარე პროცესებში. და როდესაც ვსაუბრობ, არ ენდობიან ოპოზიციურ პარტიებს–მეთქი, სწორედ საზოგადოების ეს აქტიური ნაწილი მყავს მხედველობაში, რომელიც შემდეგ იქცევა ხოლმე მთელი დანარჩენი საზოგადოების „ძრავად“. ამათ ამოძრავებასაც ვერ ახერხებს ჩვენი პოლიტიკური სპექტრი. ბოლო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რაც ხდება ჩვენს ოპოზიციაში, ამას პირდაპირი მნიშვნელობით, კატასტროფას ვუწოდებდი. მუდმივად აბსურდულ მოწოდებებში, ვითარების ზღვრამდე დაძაბვის მცდელობაში მივიღეთ სწორედ ის პასიური მოსახლეობა, რომელიც აღარ ენდობა, ხედავს რა, რომ საქმე ეხება ძალაუფლების მოპოვებას და არა იდეალებისთვის ბრძოლას.

**– და ინდიფერენტული ხდება საკუთარ მომავალთან, ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსთან მიმართებითაც?**

– რა თქმა უნდა. აი, მაგალითად, მე ინდიფერენტული არ ვარ, მაგრამ ვერ დამისახელებთ ძალას, რომელსაც გავყვები საბრძოლველად.

**– მაგრამ თქვენ მიხვალთ არჩევნებზე და კომპრომისულად მისცემთ ხმას...**

– დიახ, მაგრამ არსებობენ ჩემზე და თქვენზე ათასჯერ მეტნი, რომელთა ტვინშიც შესაძლოა, ეჭვი გაჩნდეს გამალებული პრორუსული პროპაგანდის ფონზე, „იქნებ მართალია ეს ხალხი, იქნებ მართლა უმწეოა ამერიკა, იქნებ მას მართლაც ცუდი უნდა ჩვენთვისო“ და ა.შ.

**– ფიქრობთ, რომ ეს ანტიდასავლური კამპანია, მათ შორის, მმართველი გუნდის ჩართულობით, თავის როლს თამაშობს?**

– მუშაობს! მათ შორის, ხდება ყველა იმ ადამიანის მობილიზება, რომელიც ჩუმად ატარებდა საბჭოთა ნოსტალგიას. მათი რაოდენობა კი არ გაზრდილა, უბრალოდ ისინი გააქტიურდნენ, წინა პლანზე გამოვიდნენ. ადრე ვერ ბედავდნენ თავიანთი პოზიციის დაფიქსირებას, ახლა ბედავენ.

**– ვერ ბედავდნენ იმიტომ, რომ მსგავსი პოზიციონირება საზოგადოებაში არ იყო მიღებული, აღიქმებოდა ნეგატიურად. ანუ ახლა მისაღები გახდა?**

– ახლა ხედავენ, რომ გარკვეულ წრეებში მაინც პრესტიჟულია ამგვარი პოზიცია. ეს ტრაგედიაა, მაგრამ შევთანხმდეთ, რომ როდესაც ვითარებას აღვწერთ, თავი არ უნდა მოვიტყუოთ. თუ არ ვცდები, 2011 წელს მოხდა, როდესაც ერთ-ერთ კვლევაში ვლადიმირ პუტინის მიმართ სიმპათია გამოხატა გამოკითხულთა 31%-მა, მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ევროკავშირთან ინტეგრაციას უჭერდნენ მხარს. მაშინვე, რაც შეიძლებოდა ხმამაღლა, რამდენჯერმე ვთქვი (იმედით, რომ ვინმეს ყურს მივაწვდენდი), რომ ეს იყო კატასტროფა, იმის სიმპტომი, რომ პრორუსულ პროპაგანდას ქვეყანაში უკვე საფუძველი ჰქონდა გაჩენილი. ახლა კი ეს გაღრმავდა! მახსოვს, მაშინ „რესპუბლიკური პარტიის“ კონფერენცია იყო და იქაც ვისაუბრე ამის შესახებ, „ეს კატასტროფაა, ხალხო! როდესაც ასე იზრდება ამ ადამიანების რაოდენობა, პასუხისმგებლები თქვენ ხართ – პროდასავლური ყაიდის პარტიები! ანუ ისინი თქვენს იმედს კარგავენ, თქვენში ვეღარ ხედავენ საყრდენს!“, მაგრამ „აისხლიტეს“. ამდენად, ტენდენცია ძალიან მკაფიოდ ჯერ კიდევ მაშინ ჩანდა, დღეს კი ეს რეალობად იქცა და ამას რა შეიძლება, ეშველოს, ვერ გეტყვით. არ იფიქროთ, რომ სააკაშვილის ბედის მიმართ გულგრილი ვარ, მაგრამ როდესაც ეს თემაა ცენტრალური პოლიტიკური პრობლემა ქვეყანაში და ამაზე ზრუნავს არა მხოლოდ ოპოზიცია, ხელისუფლებაც, ბუნებრივია, რომ ასეთი მარგინალური იდეოლოგიური დინებები წინა პლანზე წამოვიდეს. დღეს საქართველოში არ არის პოლიტიკოსი, რომელიც ინტეგრალურად ხედავს ქვეყნის პრობლემებს – ან ერთში გადავარდებიან, ან მეორეში! არ აქვთ უნარი, ყველა პრობლემა ერთიანად და კონტექსტში დაინახონ, ხედავენ ჩხირს, მაგრამ არა ტყეს, არ აქვთ სტრატეგიული ხედვა და ამას მე დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების ტრაგედიად აღვიქვამ!

იმ მასშტაბის პოლიტიკური მოაზროვნეები, როგორიც იყო თუნდაც ზვიად გამსახურდია, აღარაფერს ვამბობ ედუარდ შევარდნაძეზე, დღეს არ გვყავს.

და ეს მმართველ გუნდს და პრორუსულ

**იმ მასშტაბის პოლიტიკური მოაზროვნეები, როგორიც იყო თუნდაც ზვიად გამსახურდია, აღარაფერს ვამბობ ედუარდ შევარდნაძეზე, დღეს არ გვყავს.**

ძალებს სითამამეს აძლევთ. როდესაც უკრაინაში ომი დაიწყო, მაშინვე ვთქვი, რომ მოსალოდნელია პრორუსული ძალების არნახული გააქტიურება საქართველოში, რადგან ეს ომის ერთ–ერთი ასპექტი იქნება, რათა მოხდეს ჩვენი პარალიზება, იზოლირება ამ პროცესებიდან და ა.შ. ეს ძალები მაინცდამაინც პრორუსული ტერმინებით კი არ ლაპარაკობენ, ხელს უწყობენ იმგვარი პოლიტიკური პროცესების გაცხოველებას, რომელთაც სხვაგან მიჰყავხარ და არა იქ, სადაც უნდა იყო. დღეს ისინი სიამოვნებისგან იფშვნეტენ ხელებს, როდესაც ხედავენ, რა არის საქართველოში მთავარი პოლიტიკური თემები, რომ ქართველი პოლიტიკოსები არ ფიქრობენ, რომ დიამეტრულად შეიცვალა გეოპოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც ქვეყანაა – სამხრეთ კავკასიაში სრულიად სხვა აქტორები გააქტიურდნენ და დამკვიდრდნენ, ეს ყველაფერი მხედველობის მიღმაა!

ათასნაირად მოსინჯეს პრორუსული ტონალობის შემოტანა ამ სამი ათწლეულის განმავლობაში და დღეს ეს ფორმები მოძებნეს. შეგვიძლია ვისაუბროთ, როგორ გაჩნდა 90-იან წლების დასაწყისში ჩვენს მასმედიაში პუბლიკაციები იმის შესახებ, რომ „მასონური ამერიკა ცდილობს მართლმადიდებლური სამყაროს მოსპობას“ და ა.შ. არ იფიქროთ, რომ მარგინალები იყვნენ, სხვადასხვა ცნობილი ადამიანები წერდნენ ამის შესახებ, მათ შორის, ერთ-ერთს პარლამენტში ძალიან მაღალი თანამდებობაც ეკავა. ეს „ძველი სიმღერაა“, მაგრამ ასე აგრესიულად ეს იდეოლოგია ვერ ბედავდა ასპარეზზე გამოსვლას, ეშინოდა ახალგაზრდების, სტუდენტების, საერთო განწყობილებების. იყო ერეკლეს, ილიას, სტალინის სახეების ერთმანეთთან დაკავშირების მცდელობები. ანუ არაფერია ახალი, მაგრამ ეს ხდებოდა სადღაც, პერიფერიაზე, ნაკლებ ყურადღებას იქცევდა და მხოლოდ ისინი ვამჩნევდით, ვინც ყოველ ნიუანსს ვადევნებდით თვალს.

ვფიქრობ, სააკაშვილის მმართველობის მთავარი უბედურება ის კი არ იყო, რაც ჩაიდინა (ყველა ხელისუფლება ცოდვილია ასე თუ ისე – ძალადობის მეტი თუ ნაკლები ხარისხი ახასიათებს), მთავარი დანაშაული იყო დასავლური ორიენტაციის დისკრედიტაცია – დასავლური კურსი მასთან გაიგივდა! დღესაც ბევრი ადამიანისთვის დასავლური ორიენტაცია სააკაშვილის მობრუნებას ნიშნავს, რაც ასე არაა, რა თქმა უნდა. ეს ხალხი დასავლეთიდან წამოსულ ყოველ სიგნალს, რომ ადამიანი არ შეიძლება, წამებით მოკლა ციხეში და ა.შ., აღიქვამენ არა ჰუმანურ მოწოდებად, არამედ პოლიტიკურ მცდელობად იმის შესახებ, რომ „უნდათ,სააკაშვილი თავს მოგვახვიონო“. ამ კუთხითაც იმუშავა პროპაგანდამ.

**– ბრძანეთ, „90–-იანი წლებიდან მოყოლებული იყო მცდელობები, თუმცა ვერ დაიმკვიდრა თავიო“. და სად გვიპოვეს „სუსტი წერტილი“?**

– საზოგადოებამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია, რადგან პროდასავლურ იდეოლოგიაში მას საყრდენი პოლიტიკური ფიგურები არ ჰყავს და პარალიზებულია. პოლიტიკოსი ხომ საზოგადოების ინსტრუმენტია, საზოგადოებას კი დღეს ეს ინსტრუმენტი არ აქვს, რომლითაც წინააღმდეგობას გაწევს. ამით პრორუსული ძალები სარგებლობენ და ახდენენ თავიანთი რესურსების მობილიზებას, მათ შორის, ბოლოს თავს იმ ადამიანებსაც მოუყრიან, რომელთაც არც ის იციან, რა არის პროდასავლური კურსი და არც ის, თუ რა არის პრორუსული. აქ ვგულისხმობ საზოგადოების სრულიად პასიურ ნაწილს, რომელიც იგრძნობს, რომ ამათ მხარეს არის ძალა, პრესტიჟი და მათ მიეხუტება.

**– და მმართველი გუნდის მიზანი რა არის?**

– ძალიან მოკლედ გიპასუხებთ: ბიძინა ივანიშვილი უაღრესად, მექანიკურობამდე მისული პრაგმატული ადამიანია და სრულიად უგრძნობელია იდეოლოგიების მიმართ. იდეოლოგია, როგორც ღირებულება, მისთვის არ არსებობს. მისთვის მთავარი ღირებულებაა შედეგი. იმისთვის, რომ შეინარჩუნოს ძალაუფლება და ის, რისი წყალობითაცაა ბიძინა ივანიშვილი, მისთვის სულ ერთია, საით გადაიხრება (ჩრდილოეთით, დასავლეთით), მთავარია, ეს მისთვის მომგებიანი იყოს და ამ ლოგიკით მოქმედებს „ქართული ოცნებაც“.

**– ანუ, როგორც მესმის, აქ ლოგიკა ამგვარია: საზოგადოება გახადოს მოწყვლადი და როგორც წარიმართება ქვეყნის გარეთ პროცესები, საქართველოს საგარეო კურსიც შესაბამისად განხორციელდება. მთავარია, ქვეყნის შიგნით არ შეიქმნას პრობლემა, ამისთვის კი საზოგადოება უნდა იყოს მოწყვლადი?**

– დიახ. მით უმეტეს, რომ სამწუხაროდ, მას ოპონენტი არ გააჩნია და იოლად ახორციელებს თავის მიზნებს. ფატალურად ვართ დამოკიდებული იმაზე, რა მოხდება ჩვენს გარეთ, რით დამთავრდება უკრაინის ომი! საკუთარ ბედს ჩვენ ვერ კი არა, არ ვქმნით!

**– და ჩვენ რა გამოსავალი გვრჩება?**

– საზოგადოებასთან საუბარი იმაზე, რა ხდება რეალურად, რომ ვიღაცეებმა მაინც იგრძნონ მორალური მხარდაჭერა, რომ პროცესი არ არის მიშვებული დინებაზე. მართლა არ მახსენდება ასეთი რთული პერიოდი. 90-–იანი წლები ძალიან მძიმე იყო სოციალურად და მსოფლმხედველობრივადაც თავდაყირა იდგა ყველაფერი, მაგრამ მაშინ მეტი იმედი იყო, ახლები ვიყავით, იმედი გვქონდა, რომ რაციონალური და ზნეობრივი გაიმარჯვებდა. ახლა კი ეს პრაგმატიზმი, რომელიც მე ვახსენე, ისე ულმობელი გარდაუვალობით ეუფლება ქვეყანას, ამას წინააღმდეგობა რით უნდა გაუწიო ადამიანმა, არ ვიცი. ალბათ, ისევ საზოგადოებასთან საუბრით, რადგან ამ პრაგმატიზმს პოლიტიკური პარტიების არა, მაგრამ ინდივიდების ეშინია. 30-იანი წლების დასაწყისში არსებობდა დამოუკიდებელი ლიტერატურული ორგანიზაცია „ლეფელი“. სულ 12 წევრი ჰყავდა, ლიტერატურულ ექსპერიმენტებს ატარებდნენ და სტალინმა აკრძალა ეს ორგანიზაცია. ამათ მისწერეს, „თქვენს უკან დგას უზარმაზარი არმია, სისტემა და 12 კაცის როგორ შეგეშინდათო?“. იცით, ეს 12 კაცი შესაძლოა, უფრო სახიფათო აღმოჩნდეს მათთვის, თუ კი არსებობს, რა თქმა უნდა.

**– აკრძალეს იმიტომ, რომ საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენის რესურსი დაინახეს...**

– დიახ. ერთ დღესაც ბზარი გაჩნდება ამ მექანიზმში, ადამიანებიც იგრძნობენ, რომ რაღაც ისე არაა, როგორც ეგონათ.

**– მაგრამ შესაძლოა, გვიანი აღმოჩნდეს...**

– სწორედ ესაა სამწუხარო, რომ ისტორიამ შესაძლოა, არ დაგინდოს და იმ დროს კვლავ აღარ მოგცეს შანსი.

**„აქცენტი“**




# საწვავის ბაზარზე ისევ განუკითხაობაა!

## თურქები, აზერბაიჯანელები, სომხები, რუსებიც კი ბევრად უფრო ნამუსიანად ვაჭრობენ, ვიდრე ხარბი და გაუმაძღარი ქართველები!!!

**საწვავის ადგილობრივ ბაზარზე სხვადასხვა ტიპის გაურკვევლობაა. მაღალია როგორც ბენზინის, ასევე დიზელის ფასი. პირველის შემცირების პირობას მთავრობა უკვე იძლევა, მაგრამ მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი საწვავის შემთხვევაში, როგორც ჩანს, მდგომარეობა უცვლელი დარჩება.**

დიზელის სიძვირის გამო კი, ქართველი გადამზიდავები საწვავს მეზობელ ქვეყნებში ასხამენ. ინფორმაცია სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრმა გაავრცელა, რომელიც არსებულ ტენდენციას სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა:

**„ქართველი გადამზიდავისათვის, დიზელის სიძვირის გამო, ადგილობრივ ავტოგასამართ სადგურებში ავზების შევსება არარენტაბელურია, რაც აძვირებს ლოგისტიკურ ხარჯებს და უბიძგებს გადამზიდავ კომპანიებს საწვავი ჩაისხან მეზობელ (აზერბაიჯანი, რუსეთი, სომხეთი, თურქეთი) ქვეყნებში.**

**„ქართველი გადამზიდავი, ძირითად გადაზიდვებს, 80%-ს ახორციელებს შემდეგი მიმართულებებით:**

**1. ცარიელი შესვლა თურქეთში, იქ დატვირთვა, შემდგომ – დაცლა – საქართველოში ან რუსეთში, ან შუა აზიაში, ან სომხეთში, ან აზერბაიჯანში;**

**1. დატვირთული შესვლა რუსეთში, შემდგომ დაცლა რუსეთის ტერიტორიაზე, ხელახალი დატვირთვა და დაცლა საქართველოში ან სომხეთში;**

**საქართველოდან აზერბაიჯანის ან შუა აზიის მიმართულებებით გადაზიდვა;**

**ისმის კითხვა, ასეთ გადაზიდვებში, ქართველი გადამზიდავი სარგებლობს თუ არა საქართველოში ადგილობრივი გასამართი სადგურებით? პასუხი ერთმნიშვნელოვანია – საქართველოში დიზელის საწვავის სიძვირის გამო – არა.**

**შედარებისათვის – აზერბაიჯანში დიზელის ღირებულება – 1.22 ლარია, სომხეთში – 2.76 ლარი, საქართველოში – 3.7 ლარი, რუსეთში – 2.10 ლარი, თურქეთში – 2.9 ლარი.**

**საწვავის ღირებულებაში ფასების ასეთი განსხვავების გამო, ქართველი გადამზიდავისათვის მომგებიანია ავზების შევსება მეზობელ ქვეყნებში და გადაზიდვების განხორციელება.**

**შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე, მცირდება რეალიზებული დიზელის საწვავის მოცულობა. არსებობს ტენდენცია, რომ რეალიზებული ბენზინის მოცულობა აჭარბებს დიზელის მოცულობას, არადა რეალურად პირიქით უნდა იყოს.**

**ეს ყოველივე იწვევს საქართველოს ბრენდულ გასამართ სადგურებში (იგულისხმება 5 ბრენდული კომპანია, თითოეული ფლობს 100-დან 130-მდე გასამართ სადგურს საქართველოს ტერიტორიაზე), მუდმივი ხარჯების ზრდას, შემცირებული რეალიზაციის შედეგად, მომგებიანობის მარჟის გასაზრდელად ბრენდულ კომპანიები ზრდიან ფასებს, რითაც უფრო ღრმად ეფლობიან გაძვირების „სპირალში“,** – აღნიშნულია განცხადებაში.

ზოგადად, საქართველოს საწვავის ბაზარზე სხვადასხვა მიმართულებით განუკითხაობა კვლავ გრძელდება, რამაც პრემიერმინისტრის გულისწყრომაც გამოიწვია. **ირაკლი ღარიბაშვილის** ინფორმაციით, საერთაშორისო ბირჟაზე ნავთობის გაიაფების მიუხედავად, ადგილობრივ ბაზარზე საწვავის ფასები ისევ მაღალ ნიშნულზე ნარჩუნდება, ზოგ შემთხვევაში კი ლიტრ ბენზინზე მოგების მარჟა 1 ლარსაც აღწევს.

**„ჩვენი ჩარევის შედეგად, გარკვეულწილად, დარეგულირდა და შემცირდა ნავთობის ფასი, მაგრამ დეკემბრის მონაცემებს ვაკვირდები და ვხედავ, რომ აქ ისევ არის მაღალი მარჟები, ნავთობის იმპორტიორები ისევ მაღალ მოგებაზე მუშაობენ, რაც მიუღებელია.**

**მინისტრებო, თქვენ უნდა დაიბაროთ ნავთობის იმპორტიორები და უნდა შევძლოთ გონივრულ ზღვრამდე ფასების ჩამოწევა. არ შეიძლება, რომ ერთ ლიტრ ბენზინზე იყოს 80-თეთრიანი, თითქმის ლარამდე ფასნამატი. აუცილებელია, ამ საკითხის დარეგულირება მაქსიმალურად მოკლე დროში – ეს არის ჩემი პრინციპული პოზიცია.**

**მჯერა, იმპორტიორები გაითვალისწინებენ ჩვენი ხალხის ვითარებას და დაიწყებენ საწვავის ფასების შემცირებას – ეს არის ჩვენი მოლოდინი, რაზეც გვაქვს დიდი იმედი. ეკონომიკის, ფინანსთა და სოფლის მეურნეობის მინისტრები ჩაერთვებიან ამ საკითხში აქტიურად, შექმნიან სამუშაო ჯგუფს. ამ საკითხს სჭირდება მუდმივი მონიტორინგი და ყურადღება, რომ ვინმეს ცდუნება არ გაუჩნდეს“,** – განაცხადა პრემიერმა.

როგორც ჩანს, ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია. ეკონომიკის მინისტრმა **ლევან დავითაშვილმა** აღნიშნა, ქვეყანაში გაიაფების მოლოდინი უკვე არის.

**კონკრეტულად გავაანალიზეთ როგორც მიმდინარე ტენდენციები, ისე პროგნოზები და სექტორმა ჩვენი ანალიზი გაიზიარა. შემცირების ტენდენცია დაიწყო და ვფიქრობ, თვის ბოლომდე საწვავის ფასმა დაახლოებით 40 თეთრით უნდა დაიკლოს, „რეგულარის“ ტიპის ბენზინზე“**, – განაცხადა დავითაშვილმა, თუმცა მას დიზელის საწვავი არ უხსენებია, რომლის მაღალი ფასი განსაკუთრებით პრობლემურია გადამზიდავებისთვის, დისტრიბუტორებისათვის და მეურნე ფერმერებისათვის.

**ბექა დანელია**

# გვაქვს ძალიან ბევრი აფთიაქი, იმაზე დაახლოებით 3-ჯერ მეტი, ვიდრე ქვეყანას სჭირდება!



**ქვეყანაში გვაქვს ძალიან ბევრი აფთიაქი, იმაზე დაახლოებით 3-ჯერ მეტი,ვიდრე ქვეყანას სჭირდება,** – ამის შესახებ განცხადება ჯანდაცვის მინისტრმა პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, სადაც დეპუტატმა რეფერენტული ფასების შემოღების შემდეგ წამლებზე შესაძლო დეფიციტის შესახებ დაუსვა კითხვა. მინისტრმა თქვა, რომ აფთიაქების გაფანტულობის გამოც შეიძლება იყოს ხელოვნურად შექმნილი პრობლემები.

**„კარგად გაანალიზებული გაქვს 1200 მედიკამენტიდან, რომელი იყო იმ მაქსიმალურ ზღვაზე ზემოთ, რომელსაც შემცირება მოუწია, რომელი იყო არალოგიკურად ზემოთ რაღაც სხვადასხვა მიზეზების გამო და აი, ზუსტად აქედან გამომდინარე, გავაკეთეთ ის, რომ ეტაპობრივად შემოვიტანოთ, დავაკვირდეთ და შემდეგი ეტაპი მერე დავიწყოთ. ის, რომ დეფიციტი არ შეიქმნას აქ ბევრი სხვადასხვა მექანიზმი უნდა ჩაირთოს, არ არის მარტო საკმარისი ის, რომ მხოლოდ რეგულაციების კუთხით იყოს. მაგალითად ერთ-ერთი კარგი მექანიზმი ჩემი აზრით არის ის, რომ დღეს თუ რომელიმე მედიკამენტზე ხელოვნური დეფიციტები გვექნება, სპეციალური ჯგუფი გავაკეთეთ ჩვენთან, სადაც შემოდის ზარები ან პრეტენზიები ამ კონკრეტულ მედიკამენტებზე.**

**როცა კონკრეტული აფთიაქები არ გასცემენ. ეს კიდევ ცალკე პრობლემაა, რომ ქვეყანაში გვაქვს ძალიან ბევრი აფთიაქი, იმაზე დაახლოებით 3-ჯერ მეტი ვიდრე ქვეყანას სჭირდება და აი ამ აფთიაქების გაფანტულობის გამოც შეიძლება იყოს ხელოვნურად შექმნილი ეს პრობლემები. ფიზიკურად შეუძლებელია, რომ რამდენად ძლიერიც არ უნდა იყოს ჰოლდინგური კომპანია თუ ფარმაცევტული, ვისაც თავისი აფთიაქი აქვს, ან იმპორტირებულს ყიდულობს ყველა აფთიაქში, რომ მაქსიმალურად შეავსოს. ამიტომ, ამაზე ვრეაგირებთ მყისიერად, გუშინ პირველი დღე იყო და შეუძლებელია, რომ პირველ დღეს რაღაცა გამოეწვია, მაგრამ იყო სერიოზული პანიკა კონკრეტულ მედიკამენტებზე, ძირითადად თურქულზე. რომელიღაც აფთიაქი მომხმარებელს უარს ეუბნება, მერე ჩვენი ჯგუფი გადისდა ჩვეულებრივად ყიდულობენ. მეც ჩართული ვარ ამ პროცესში და ვთხოვე, რომ სხვები გაეგზავნათ, იქნებ მცნობენ-მეთქი, მაგრამ რეგიონებშიც ასეთი მდგომარეობაა... რეაგირება და მონიტორინგი კარგად მუშაობს ამ შემთხვევაში.**

**ასევე კარგია პროექტი, რომელიც დავიწყეთ და ძალაში შევიდა, პარლამენტში შესული კანონით დაგვევალა აფთიაქებში და საბითუმო რეალიზატორებში ელექტრონული ბაზების გახსნის ვალდებულებაა. შესაბამისად, აფთიაქებს და ფარმაცევტულ კომპანიებს ვალდებულება აქვთ, რომ ონლაინ ვხედავდეთ, ჯერჯერობით საშეღავათო პერიოდი აქვთ, და ინტეგრაცია ხდება. პატარა აფთიაქების შემთხვევაში, ვისაც ამის შესაძლებლობა არ აქვთ, აქ ჯგუფი გამოვყავით სამინისტროში, რომელიც ივლის და დაუინსტალირებს და ასწავლის, როგორ უნდა ატვირთონ არსებული ნაშთები“,** – დასძინა ზურაბ აზარაშვილმა.

# ქართული ღვინის 13 კომპანია პარიზში

**ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის 13 კომპანია, მსოფლიოს 52 ქვეყნის 3 ათასზე მეტ მწარმოებელთან ერთად, მასშტაბურ გამოფენაში „VINEXPO PARIS“ მონაწილეობდა.**

**„მსგავსი მასშტაბის ღონისძიებაში მონაწილეობით, ქართული ღვინის საერთაშორისო ცნობადობა იზრდება, რაც მეწარმეებს ახალი სავაჭრო პარტნიორებისა და პოტენციური იმპორტიორების მოძიების შესაძლებლობას აძლევს. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, მიმდინარე წელს, ღვინის კომპანიები აშშ-ში, ევროპისა და აზიის ქვეყნებში 20-მდე საერთაშორისო გამოფენაზე წარადგენენ ქართულ საუკეთესო ღვინოებს,** – აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ დავით ტყემალაძემ.

საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გამართულ ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „VinExpo Paris“, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 13 კომპანია მონაწილეობდა. სამი დღის განმავლობაში, მსოფლიოს 52 ქვეყნის 3 ათასზე მეტმა მწარმოებელმა საკუთარი პროდუქცია გამოფენის ათასობით ვიზიტორს გააცნო. VinExpo Paris-ზე, ტრადიციულად, თავს იყრიან ღვინის პროფესიონალები, იმპორტიორები და ექსპერტები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან.

**„ჩემთვის ძალიან ამაღელვებელი იყო 2022 წლის მოსავლის ღვინოების დაგემოვნება. გამორჩეული იყო სხვადასხვა მწარმოებლის საფერავის ღვინოები. აღსანიშნავია ღვინოების მაღალი ხარისხი და ჯიშების მრავალფეროვნება საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. განსაკუთრებით აღვფრთოვანდი ქვევრის ქარვისფერი ღვინოებით, რომლის ხარისხსაც ახლა რენესანსის პერიოდი აქვს,** – აღნიშნა ბრიტანელმა ღვინის მაგისტრმა, სარა ებოტმა.

გამოფენის პარალელურად, სადეგუსტაციო სივრცეში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა დასახელების ქართული ღვინოები, რაც ხელს უწყოდა უფრო მეტი პროფესიონალი ვიზიტორის დაინტერესებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სადეგუსტაციო სივრცეში, 2022 წლის აშშ-ის საუკეთესო სომელიეს, ვალერია გამპერის (Valeria Gamper) მიერ წარმოდგენილი იყო „მეღვინეობა იყალთოს ღვინო“ ქვევრის ქისი.





(პირველი გვერდიდან)

# „გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვკვდე, შენ კერძ დამმარხეო“!..



**თქვენო უწმინდესობავ!**

**დავით გურამიშვილის საფლავს ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ეძებდნენ და წუხდნენ მისი ანდერძის შეუსრულებლობის გამო... „გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვკვდე, შენ კერძ დამმარხეო...“ მიმართავს დავით გურამიშვილი მზედ დასახულ თავის სამშობლო ქვეყანას..** აკაკი წერეთლის შედევრი: „დედაშვილობას, ზევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო...“ დავით გურამიშვილის „გეაჯების...“ პოეტურ ანალოგიად არის განცდილი ქართველ მკვლევართა მიერ... რამდენადაც ილიას და აკაკის დროს ჯერ კიდევ არ იყო ნაპოვნი დავით გურამიშვილის საფლავი, მისი გადმოსვენების განხორციელება ვერ შედგა. დღეს, მირგოროდის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის საარქივო მასალებით დადასტურებული და უკრაინელი ხალხისგან პატივით მოსილი დავით გურამიშვილის ძეგლით არის დამშვენებული მისი საფლავი, მაგრამ მისი გადმოსვენებისა და მისი ანდერძის აღსრულების გადაუდებელ გამოწვევად გვევლინება მისი საფლავის მდებარეობა უკრაინის ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობს გაურკვეველი პერსპექტივის შეიარაღებული დაპირისპირება რუსეთსა და უკრაინას შორის. სამწუხაროდ ამ გაურკვევლ პერსპექტივას კაცობრიობის გამანადგურებელი მესამე და ბირთვული მსოფლიო ომი ჰქვია. ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, მოკრძალებითა და დიდი მწუხარებით უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს მიერ, 2022 წლის 14 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში შემდგარი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გაერთიანების – „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“ „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის“ მხარდამჭერ სხდომაზე წამოყენებული წინადადებებისა – დავით გურამიშვილის წმინდანად შერაცხვისა და უკრაინის ტერიტორიიდან მისი საქართველოში გადმოსვენების შესახებ, საგურამოს დავით გურამიშვილის დარბაზის მთავარდამფუძნებლის, ბატონი გიორგი ჯავახიშვილის გარეშე შედგა, მისი მოულოდნელი და ტრაგიკული გარდაცვალების გამო. დღემდე უცნობია ჩვენთვის სახელმწიფო გამოძიების მიერ დაზუსტებული დასკვნა, იყო ეს გარდაცვალება, 14 ნოემბერს დანიშნული სხდომის წინარედ, მკვლელობა თუ თვითმკვლელობა?! თბილისის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გაერთიანების: „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის“ მხარდაჭერას დავით გურამიშვილის წმინდანად შერაცხვისას და მისი ნეშტის გადმოსვენებისას, შემოუერთდა თსუ „ეროვნული პრობლემების ანალიტიკურ დარბაზთან“ დამეგობრებული, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნული მოძრაობის დანატოვარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანების: „ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინების“ სახელით, მისი ერთ-ერთი ლიდერი, პოლიტოლოგიის პროფესორი, ბატონი ნუკრი ბაღდავაძე.

თქვენო უწმინდესობავ! თუ გაიხსენებთ, თქვენ ახლად აღსაყდრებული პატრიარქი ბრძანდებოდით და ერთი ჩემი ინფორმაციით დაინტერესდით: მე გაუწყეთ: ერთი საინტერესო მესათხევლე მინდა-მეთქი გაგაცნოთ: ბუნებაში პოულობს ტბისთვის შესაფერის ადგილს, ხელოვნურ ტბებსა ჰქმნის და თევზის მოშენებას ეწევა-მეთქი საკუთარი ტბებით. სიტყვა მესათხევლე მახსოვს, ხაზგასმით წარმოგითქვით, სახარების ტერმინითა და ქვეტექსტით, ძველი ქართულით და არა დღევანდელი „მეთევზით“. თქვენ დაინტერესდით. მე ის მოგიყვანეთ და კარგა ხანს ესაუბრეთ, ის მესათხევლე, ჩემი ახლობელი და დღეს უკვე ჩემი ორმოცის და უფრო მეტის წლის მეგობარი, საგურამოს „დავით გურამიშვილის დარბაზის“ მთავარდამფუძნებელი, გიორგი ჯავახიშვილი გახლდათ. მისი სული დღეს , ნამდვილად ისახება თქვენს მესათხევლე მოციქულად დავით გურამიშვილის ეროვნულ-ეკლესიურ პატრონობაში.

ამ ორი-სამი დღის წინ, საგურამოს „დავით გურამიშვილის დარბაზის“ ერთ-ერთმა მხარდამჭერმა, ბატონმა სიმონ შარაძემ ტელეფონით მაუწყა ჩემთვის უცნობი და საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ქართველი მწერლების შესახებ სულ ახალ გამოცემული წიგნით ამოკითხული ინფორმაცია: ამ ინფორმაციით, თქვენი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით დადასტურებულია გურამიშვილთა საგვარეულოს ისტორიული უფლებამოსილება: შიო მღვიმის, ზედაზნისა და საგურამოს ძვალთშესალაგთა კუთვნილებისა, რაც იმედს გვანიჭებს, რომ რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირების კონტექსტში აღძრული საზოგადოებრივი აზრი დავით გურამიშვილის გადმოსვენებისა, როგორც გამოწვევა დრო-ჟამის პროცესებისა, იქცევა ღირსეული ქირისუფალი ერის, მთელი ქართველი ერისა და ქვეყნის „სასულიერო და საერო ხელისუფლების ერთიან ძალისხმევად, დარწმუნებული გახლავართ, ეს ერთიანი ძალისხმევა, ჩვენი ქვეყნის ეს ეროვნული ჭირისუფლობა გააძლიერებს საქართველოს პრემიერის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის სრულიად გარდუვალი აუცილებლობით გადადგმულს, ღირსეულსა და სწორ ნაბიჯს, კატეგორიულ უარყოფას რუსეთ-უკრაინის მხარედ, რუსეთის წინააღმდეგ.

დავით გურამიშვილის საფლავი დღეს ხალხთაშორისი მშვიდობის ლამპარივით ანთია უკრაინის მიწაზე ! და თქვენი ლოცვა-კურთხევით, ქართული სული წარუძღვება აღსრულებად ორ ანდერძს დავით გურამიშვილისას: პირველი ანდერძისას – „გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვკვდე, შენ კერძ დამმარხეო“-ს, და მეორე ანდერძისას, როგორც ქართველი, რუსი და უკრაინელი ხალხისადმი დანატოვარს, რომ მარადჟამ იდგნენ ისინი ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთისადმი მოყვასის ქრისტიანული სიყვარულით, როგორც ეს სიმბოლურად განხორციელდა მის პირად ცხოვრებაში: დაღესტნელი, გამუსულმანებული ლეკების მიერ აღმოსავლეთის ბაზრებზე გასაყიდად გატაცებული და ორმო-ხაროში ჩამწყვდეული დავით გურამიშვილი, ორმოდან ამოღწეული ღვთის შეწევნით და ჩრდილოეთის მიმართულებით გაქცეული, მომტაცებელთაგან თავის დასაღწევად, შიმშილითა და დაღლით ცოცხალმკვდარი აღმოჩნდება ერთი ყაზახი რუსის მიერ შეკედლებული, საოცარი თანადგომითა და სიბრალულით, რომელსაც თავად აღწერს თავის „დავითიანში“:





დავით გურამიშვილის საფლავი მირგოროდში

**როგორც რომ ერთმან ყაზახმან,**
**მე მაშინ მამიარაო,**
**როცა რომ მყვანდა, მივლიდა,**
**მე მამაჩემი, არაო.**
**შევბრალდი, გულზედ მიმიკრვა,**
**მკოცნა და ცრემლი ღვარაო.**

არ შეიძლება აქვე, დავით გურამიშვილის ფენომენის პირველმოხსენიებისთანავე არ აღვნიშნოთ ის უმთავრესი და ძალზედ მნიშვნელოვანი, შესაძლოა, სრულიად უნიკალური აღნაგობა მისეული სულიერი ცხოვრების იგავის,როგორც კაცობრიული სიყვარულისა, მისი ბიოგრაფიული თავგადასავლიდან გამომდინარე! ეს დაუვიწყარი და მარადიული მადლიერება რუსული და უკრაინული სიკეთისადმი და მისი პიროვნული მოწოდება თავისი ბიოგრაფიის სამივე ხალხისადმი: ქართველი, რუსი და უკრაინელი ხალხისადმი, მათი მარადიული მეგობრობისათვის, ბიოგრაფიულად ერთვის და ერწყმის საქართველოდან წაღებულს, მისი ჭაბუკობის იდეალებს, მის სულში საქართველოდანვე ჩასაძირკვლებულ-აზობოქრებულ თაყვანისცემას დიდი რუსთველისას და უსაზღვრო სიყვარულით აღფრთოვანებას ბიბლიური მეფისა და მეფსალმუნის – დავით წინასწარმეტყველისას. არ არსებობს მსოფლიო ლიტერატურაში და საერთოდ მსოფლიოს ისტორიაში იმხელა სიყვარული დავით წინასწარმეტყველისა, როგორც მეფისა და მგოსნისადმი, რამხელაც ჩაბუდებულია დავით გურამიშვილის ცნობიერებაში. ეს უბადლო სულიერი კავშირი და აღფრთოვანება დავით გურამიშვილისა ბიბლიური მეფის, დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნთა „წალკოტით“, როგორც თავად უწოდებს იგი, დავით გურამიშვილი ბიბლიური მეფის ფსალმუნთა კრებულს, თავად მასაც, დავით გურამიშვილსაც განაწყობს, და არ ფარავს ის ამ განწყობას,, რომ თავადაც დავითმა, თანამოსახელემ დავით წინასწარმეტყველისამ, თვითონაც უწოდოს თავისი სულის დღიურებს, საკუთარ თხზულებათა კრებულს, საკუთარ სულიერ მოძღვრებად ჩამოღვენთილსა და მშობლიური ერის სულიერი წვრთნის სამიზნედ გათვლილ აღწერას ქრისტესთან შეღაღადების უწყვეტი და საკრალური წუთებისას – „დავითიანი“.

დავით გურამიშვილი პირდაპირ უმხელს მკითხველს, რომ დავით წინასწარმეტყველის მიბაძვით არქმევს თავის თხზულებათა კრებულს „დავითიანს“, და როგორც უშვილოდ დარჩენილი ქართველი კაცი, უცხო მიწაზე მომლოდინე სიკვდილისა, თავისი შვილის სანაცვლოდ დაშვილებულ თავის სულიერ ნაღვაწს, თავის „დავითიანს“, უკრაინიდან უგზავნის თავის მშობლიურ ხალხსა და ქვეყანას. საოცარი აღმსარებლობითი გულწრფელობით აცხადებს რა იგი თავის „დავითიანში“ შეუწვდომლობას რუსთაველის სიდიადისას, რომელსაც უსათუოდ ენათესავება იგი, დავით გურამიშვილი ხალხთა მეგობრობის საკუთარ ქრისტიანულ ქადაგებაში, თავისი პოეზიის კრებულად წარმოდგენილი მთელი თავისი შემოქმედებითი ნაღვაწის „დავითიანად“ წოდებითა და ამ „დავითიანის“ დაშვილებით, ხოლო შემდეგ მისი წარმოგზავნით თავისი სამშობლოს შვილად, გაცხადებული და ხმამაღალი თვითშეფასებით გვაუწყებს რა, რომ ვერ ერუსთველება თავის სანატრელ ქვეყანას, თავის თხზულებათა კრებულის, „დავითიანის“ წარმოგზავნით, დავით გურამიშვილი, დავით წინასწარმეტყველის პოეზიით აღრთოვანებული, დავით წინასწარმეტყველის სიყვარულითაც ედავითწინასწამეტყველება თავის მშობლიურ ხალხსა და ქვეყანას. ასე აღმოჩნდება ქართველი ერი ორი „დავითნის“ მფლობელი: 1) ისრაელის ბიბლიური მეფისა და 2) თავისი წარმომავლობით, ჰერეთის საქართველოს თავადური მოდგმის დავით გურამიშვილისა.! უნდა გითხრათ, რომ საგურამოს „დავით გურამიშვილის დარბაზის“ დამფუძნებელი, გიორგი ჯავახიშვილი, დავით გურამიშვილის პიროვნებით აღფრთოვანებული, დავით გურამიშვილში საქართველოს მეფეს ხედავდა და ამბობდა: ეგ უნდა ყოფილიყოო საქართველოს მეფე! და უნებურად მეფიქრება, ხომ არ მოდის საგვარეულო წარმომავლობით გურამიშვილების ჰერეთულ-თავადური საგვარეულოს გურამიშვილობა მეექვსე საუკუნის „გუარამი“-დან.?! ჰერეთში დადასტურებულია ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს ისტორიული არსებობა. ამას კვლევა უნდა!

**ასე გვევლინება რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ ქართველთა ბიბლიად, ხოლო უკრაინაში დაწერილი დავით გურამიშვილის „დავითიანი“ ქართველთა საკუთარი და მშობლიური „დავითნის“ წიგნად. ეს, ალბათ, დიდი და საგანგებო თემაა ქართული ცნობიერების ისტორიის... დღეს მთავარია, თავისთავად ფაქტი, რომ სამშობლოს დანატრებული დავით გურამიშვილი აქამდე არ გაუშვა უფალმა უკრაინის მიწიდან, არც ცოცხალი და არც მკვდარი, და არ უნდა იყოს ეს შემთხვევითი... უფალმა ინება და უკრაინის მიწაზე, ქალაქ მირგოროდის დედაღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის ეზოში, დღესაც, რუსეთ-უკრაინის ამ ტრაგიკულ შეიარაღებულ დაპირისპირებაში, დავით გურამიშვილის საფლავზე, ძმათაშორისი მშვიდობისა და ერთგულების მომწოდებელი დავით გურამიშვილის სახელი, თვით უფლის ნებით, კელაპტარივით ანთია, როგორც დავით გურამიშვილის სულის წადილი: წადილი ხალხების ერთმანეთთან მეგობრობისა და ქართველთა საკაცობრიო სიყვარულის. და ღვთის განგებით, დავით გურამიშვილის მშობლიური ხალხის წინაშე აღმართულია კითხვა: შესწევს დღეს უნარი დავით გურამიშვილის მზე-სამშობლოს, დღევანდელ საქართველოს და მის ჭირისუფალ ერს, მსოფლიოს წინაშე წარსდგეს, როგორც ღირსეული ჭირისუფალი საკუთარი დიდი შვილისა, დავით გურამიშვილისა, მსოფლიო მნიშვნელობის დიდაქტიკოსისა და მოაზროვნისა, იმისათვის, რომ რუსეთ-უკრაინის ომის შემოქმედს, ე.წ. მსოფლიოს „ახალი წესრიგის“ მიმყვანს რუსეთ-უკრაინის ომამდე, მსოფლიოზე რუსეთ-უკრაინის შეიარაღებული ომის თავსმომხვევ ძალას უთხრას ხმამაღალი სიტყვა: ეს არ არის მსოფლიოს წესრიგი! ჩვენ, ქართველი ერი მხარს ვუჭერთ მშვიდობიან მოწესრიგებას კაცობრიობის ცხოვრებისას და არა „წესრიგს“, კაცობრიობაზე ვირუსული უხილავი მატლების შესევისას და ბირთვული ბომბების. როგორც თავად ბრძანებთ, ეპისტოლეთი!.. ქვეყანა გაუგებრობებით არის მოცული და დამსგავსებული „ბაბილონს“, და ეს იმ ვითარებაში ხდება, როდესაც ნამდვილი მსოფლიო წესრიგი აუცილებელია და მსოფლიოს მორალური პოლიტიკის მიღწევით – სრულიად შესაძლებელი! მაქვს გამოცხადებითი მინიშნება საქართველოს ეკლესიის ჩართვის აუცილებელი ჟამისა მსოფლიოს ე.წ. „ახალი წესრიგის“ პროცესებში, რომლითაც მიმდინარეობს ფუნდამენტური რღვევა თქვენეული ტრიადული მოწოდებისა: ღმერთი! სამშობლო! ადამიანი!**

თქვენო უწმინდესობავ! ქრისტიანობის დამცველი „მესიის მახვილის“ – ქართველი ერის სამშვიდობო მისია თქვენს ლოცვა-კურთხევას ელის!

**დენიზა სუმბაძე,**

10 თებერვალი, 2023 წელი, თბილისი.



# „ნაცმოძრაობის“ ეპიტაფია



„ნაცმოძრაობას“ ყველაზე მოკლე დიაგნოზი დაუსვა „გირჩის“ წარმომადგენელმა **იაგო ხვიჩიამ:** „ნაცმოძრაობა“ უკვე აღარ არსებობს და მოხდა მისი გარდაქმნა საშიშიდან სასაცილომდე“. სავარაუდოდ, სასაცილოში იგულისხმება „ნაცმოძრაობის“ ახალი ლიდერი **ლევან ხაბეიშვილი.**

ახლა იმაზე მსჯელობენ, „ნაცმოძრაობა“, როგორც პარტია, თვითონ ნაციონალებმა აქციეს პაროდიად და დაასამარეს, თუ მათ გარედან „მიეხმარნენ“ და „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო „ნაცების“ დასრულება. ფაქტია, „ნაცებს“ ახალი მაიდნის და ახალი რევოლუციების თავი არ აქვთ, რაც არ უნდა შემოუძახოს **გიგა ბოკერიამ** და სხვებმა, რომ ახლა ყველაზე მოკლე გზა არის ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც იყო უკრაინაში მაიდნის დროს, ფაქტია, რევოლუცია არ იქნება.

იაგო ხვიჩია მიიჩნევს, რომ ახლა „ნაცმოძრაობისა“ და **მიხეილ სააკაშვილისთვის** ყველაზე კარგი იქნება, თუკი სააკაშვილის გულშემატკივრები გაემიჯნებიან „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც პარტიას, რომელიც უკვე აღარ არის სააკაშვილის და არც შეიძლება ერქვას „ნაციონალური მოძრაობა“. შესაძლოა, ფულიც ჩაასხან ამ მომაკვდავ პარტიაში და მას ხელოვნურად გაუხანგრძლივონ არსებობა, მაგრამ საბოლოოდ იგი მაინც დაიშლება.

„ნაცმოძრაობა“ რომ აღარ არის ის, რაც ადრე იყო, ეს ძველმა ნაცებმა ყველაზე სწრაფად შენიშნეს. ნაცების ყოფილმა ლიდერმა **მაია ნადირაძემ** ჯერ კიდევ როდის შეამჩნია, რომ დღევანდელ „ნაცმოძრაობაში“ არის ხალხი, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური მეხსიერება და არ ახსოვს, რაც ხდებოდა იმ ცხრა წელს და რა რეფორმებიც ტარდებოდა თავის შეცდომებთან ერთად. ამდენად, მაია ნადირაძეს არც უკვირს, რომ ახლანდელი ნაცები 2003 წლის რევოლუციას ვერ გაიმეორებენ, ასე ბელარუსშიც ნახევარი მოსახლეობა გარეთ იყო, მაგრამ რევოლუცია ვერ მოახდინეს, რადგან რევოლუციას რაღაც სხვა სჭირდება – ლიდერი გამარჯვებას უნდა ხედავდეს.

პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ რომ არ არსებობს, ამაში „ქართულ ოცნებაშიც“ თანხმდებიან, უბრალოდ, მმართველ გუნდში აკონკრეტებენ, თუ სად შემორჩა რეალურად ნაცების პარტიის ნამსხვრევები. ეს არის მედიაპროდუქტი, „ნაცმოძრაობა“ რეალურად მედიით ცოცხლობს.

პოლიტოლოგი **თამარ კიკნაძე** ადასტურებს, რომ „ნაცმოძრაობას“ ძალიან დიდი პრობლემები აქვს, რადგან მისი სლოგანები არ ჯდება საქართველოს მოსახლეობის ინტერესებში, პირიქით, სულ უფრო მეტი აღქმაა იმის, რომ ნაციონალების ქმედებები ძალიან საშიშია საქართველოსთვის. მით უფრო, იმ ფონზე, როცა მარტივი ვითარება არ არის, ჩვენ ახლა გვჭირდება სიმშვიდე, კონსოლიდირება, რადგან გარშემო ცეცხლის ალია!..

**„ლევან ხაბეიშვილიც იმიტომ დანიშნეს ლიდერად, რომ თავიანთი ქმედებების რადიკალიზაცია სურთ, რაც საფრთხის შემცველია საქართველოსთვის. ახლა დებატებია იმის შესახებ, გამოვლენ თუ არა ნაციონალები საქართველოს პარლამენტიდან, მაგრამ მათი პატრონნები ეუბნებიან, რომ არ უნდა გამოვიდნენ იმდენად, რამდენადაც ქუჩაში მათ მხარს არავინ უჭერს და სჭირდებათ დესტაბილიზაციის რაღაც არეალი პარლამენტის სახით. იმის გამო, რომ ნაციონალები პარლამენტის წევრები არიან, ალბათ, დესტრუქციას უკვე პარლამენტში განახორციელებენ“,** – გვითხრა თამარ კიკნაძემ.

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ როგორც კი გადაწყდა ნაციონალების არჩევნების ჩატარება, მაშინვე დაასკვნა, რომ ეს იქნებოდა არჩევნების ეპიტაფია „ნაცმოძრაობისთვის“ და ახლაც ამავე აზრს იზიარებს.

**„ზღაპარია, რომ „ნაცმოძრაობა“ უფრო გაძლიერდება, უფრო გაერთიანდება, კიდევ კარგი, რევოლუციის ძალა „ნაციონალებს“ აღარ შესწევთ, რადგან ამდენ რევოლუციას საქართველო ვერ გაუძლებს, ერთი ციცქნა ქვეყანას ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის ჭრილობები არ მოუშუშებია. ამერიკაში 150 წელი გავიდა 1864- 65 წლებში მოწყობილი სამოქალაქო ომიდან და დღესაც ვერ მოუშუშებიათ ის ჭრილობები, რასიზმის გამოვლენა, ჩრდილოეთის შტატები, სამხრეთის შტატები, ეს მოვლენები დღესაც იგრძნობა. ჩვენთან კი ნახევარი საუკუნეც არ გასულა სამოქალაქო ომიდან. ამიტომ კიდევ ერთ ახალ დაპირისპირებას ქვეყანა ვეღარ გაუძლებს“,** – აღნიშნა სოსო ცინცაძემ.

რაც შეეხება გიგა ბოკერიას ნათქვამს, რომ მაიდნისთვის უნდა მოემზადონ, პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ პირველი განხეთქილების ვაშლი საერთო ოპოზიციაში გიგა ბოკერიამ შეიტანა, როდესაც ნაციონალებს გამოეყვნენ ე.წ. „ევროპელი დემოკრატები“, მაგრამ იმის მერე რამდენი არჩევნები „მოიგეს“ „ევროპელმა დემოკრატებმა“, რომ კიდევ მაიდანზე ლაპარაკობენ?!

**მანანა ნოზაძე**

## ზურაბ ჩხაიძე: არაფრის ჩამოშლა არ არის, არაამქვეყნიური ინფორმაცია გაქვთ!



– ასე ეხმაურება კლინიკა „ვივამედის“ კლინიკური დირექტორი ზურაბ ჩხაიძე ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დედის გიული ალასანიას განცხადებას, სადაც მან აღნიშნა, რომ სააკაშვილი ცუდად არის და ორგანოები ეშლება.

ჩხაიძის თქმით, სააკაშვილის მდგომარეობას კლინიკა მართავს.

**„იმდენად არაამქვეყნიური ინფორმაცია გაქვთ, რომ მე ახლა ქალბატონი გიულის ინფორმაციაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, რას ნიშნავს ორგანოების ჩამოშლა. ქალბატონი გიულის საქმეა, შეუძლია, რაც უნდა ის განაცხადოს. არაფრის ჩამოშლა არ არის, ეს შემიძლია გითხრათ“,** – აცხადებს ზურაბ ჩხაიძე.

## სუნაკი რუსეთს ემუქრება

**რუსეთმა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე პასუხი უნდა აგოს ბუჩაში, ირპენსა და მარიუპოლში ჩადენილი სასტიკი დანაშაულებების გამო,** – ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, რიში სუნაკმა მიუნხენში მიმდინარე პანელურ დისკუსიაზე „ალიანსის მიღმა – პარტნიორობა ევროპული უსაფრთხოებისთვის“ განაცხადა.



მისივე თქმით, ყოველდღიურად რუსულ ძალებს კიდევ უფრო მეტი ტკივილი და ტანჯვა მოაქვთ და ერთადერთი გზა, რითიც ეს შეიცვლება, არის უკრაინის გამარჯვება.

**„დიდი ბრიტანეთი ყოველთვის იქნება თავისუფლების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის მხარეს. ჩვენი, ევროპის კონტინენტის უსაფრთხოება ყოველთვის იქნება ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტი. ახლა ამ ვალდებულებების ყველაზე დიდი მაგალითია პასუხი უკრაინაში მიმდინარე ომზე. ჩვენ ვართ პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელმაც მიაწოდა უკრაინას ტანკები და რომელმაც გადაამზადა პილოტები, საზღვაო ძალები. ჩვენ მივეცით 2.3-მილიარდიანი ფუნტის დახმარება გასულ წელს და ამ დახმარებას კიდევ უფრო გავზრდით 2023 წელს“,** – აღნიშნა რიში სუნაკმა. ამასთან, მისივე თქმით, დიდი ბრიტანეთი იქნება პირველი ქვეყანა, რომელიც უკრაინას შორი მანძილის იარაღს მიაწვდის.

**„მომავალი თვეების განმავლობაში ჩვენ ერთად მივაწვდით უკრაინას იმაზე მეტ აღჭურვილობას, ვიდრე 2022 წელს. ჩვენ ერთად დავეხმარებით უკრაინას, რომ დაიცვას თავისი ქუჩები რუსული ბომბებისა და ირანული დრონებისგან. სწორედ ამიტომ დიდი ბრიტანეთი იქნება პირველი ქვეყანა, რომელიც უკრაინას მიაწვდის შორი მანძილის იარაღს. ჩვენ ვმუშაობთ მოკავშირეებთან, რომ მივაწოდოთ უკრაინას შესაბამისი საჰაერო თავდაცვის სისტემები. დიდი ბრიტანეთი მზად არის, დაეხმაროს ნებისმიერ ქვეყანას, მიიღოს ის თვითმფრინავები, რომლებსაც უკრაინელები მიიღებენ ახლა“,** – განაცხადა რიში სუნაკმა.

## გერმანია რუსულ აქტივებს ყინავს

**გერმანიამ გაყინა რუსული აქტივები, რომელთა საერთო ოდენობა 5,3 მლრდ დოლარს შეადგენს. სადამსჯელო ღონისძიებები არა მარტო კომპანიებს და ფიზიკურ პირებს შეეხო, რომლებიც სანქციათა სიაში არიან** შეტანილები, არამედ რუსეთის ცენტრალურ ბანკს.

გერმანიის ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, სანქციების შესრულების ცენტრალური სამმართველო ამჟამად ფორმირების პროცესშია და იქ მხოლოდ 36 თანამშრომელი მუშაობს.

## ამერიკა უკრაინაში გაგზავნილ მილიარდებს აკონტროლებს

**უკრაინისთვის გამოყოფილი 110-მილიარდიანი სამხედრო და ეკონომიკური დახმარების მიზნობრივი გამოყენების გასაკონტროლებლად აშშ-ს საომარი მოქმედებების ზონაში აუდიტორების გაგზავნა სურს. ამის შესახებ პენტაგონის, სახელმწიფო დეპარტამენტისა და საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გენერალურმა ინსპექტორებმა განაცხადეს.**

მათივე თქმით, აქამდე ასეთი კონტროლი დისტანციურად – ვაშინგტონიდან, პოლონეთიდან და გერმანიიდან ხორციელდებოდა. გენერალური ინსპექტორები ასევე აღნიშნავენ, რომ დახმარების არამიზნობრივი გამოყენების მტკიცებულებები არ უნახავთ, თუმცა სურთ, პერსონალი ადგილზე ჰყავდეთ.



„იანვრის ბოლოს კიევში ვიზიტის შემდეგ გენერალურმა ინსპექტორებმა განაცხადეს, რომ სურთ, უკრაინისთვის გამოყოფილ დახმარებაზე მომუშავე 177 აუდიტორისა და გამომძიებლისგან შემდგარი ჯგუფის ნაწილი უშუალოდ უკრაინაში გაემგზავროს“, – აღნიშნულია პუბლიკაციაში.

## პუტინი შეშინებულია



**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ჯავშნიანი მატარებლით სულ უფრო და უფრო ხშირად მოგზაურობს, რადგან თვითმფრინავით ფრენის ეშინია,** – ამის შესახებ Skynews-ი გამომძიებელი რეპორტიორის, ილია როჟდესტვენსკის ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყება.

**„რუსეთის პრეზიდენტი შეშინებულია და თვლის, რომ მის კერძო თვითმფრინავებს ნატომ ან უკრაინამ შესაძლოა თვალყური ადევნონ ან ჩამოაგდონ. პუტინს სჯერა, რომ ჯავშნიანი მატარებელი არის მოგზაურობის უფრო უსაფრთხო გზა და ამ დროს ვერავინ გაიგებს, თუ სად მიდის იგი“,** – აღნიშნა როჟდესტვენსკიმ.

მისივე თქმით, პუტინის მატარებელი იმდენად მძიმეა, რომ მის გადაყვანას სამი ლოკომოტივი სჭირდება.

## „პოლონეთი უკრაინას F-16-ებს არ გადასცემს“



პოლონეთის პრეზიდენტის, ანჯეი დუდას თქმით, ამერიკული F-16-ისთვის პილოტებისა და სახმელეთო პერსონალის მომზადებას დიდი დრო დასჭირდება, სწორედ ამიტომ პოლონეთი უკრაინისთვის ძველი საბჭოთა თვითმფრინავების მიწოდებას განიხილავს.

**„თუ უკრაინელი პილოტები ამისთვის მოემზადებიან, მაშინ, ეჭვგარეშეა, წვრთნას მრავალი თვე დასჭირდება, მაგრამ თუ „მიგ-29“-ის ტიპის თვითმფრინავი ან, მაგალითად, „სუ“-ს თვითმფრინავი იქნება უზრუნველყოფილი, მაშინ უკრაინელი პილოტები მზად იქნებიან, რომ მაშინვე გაფრინდნენ. ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს რამდენიმე ასეთი თვითმფრინავი და გადაცემის საკითხს მალე განვიხილავთ“,** – განაცხადა დუდამ.

# მიშა, ყველასგან მიტოვებული!..



## სააკაშვილი და იასკო ერთმანეთს დაშორდნენ, ანუ ვისი შვილია ჟასმინი?

უკრაინული გამოცემა „**სტრანა.უა**" ინფორმაციას ავრცელებს, რომ მიხეილ სააკაშვილი და ლიზა იასკო ერთმანეთს დაშორდნენ.

**„მაშინ, როდესაც მიხეილ სააკაშვილი და მისი თანამოაზრეები ცდილობენ, იგი ციხიდან საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაიყვანონ, უკრაინაში ცალკე დრამა მიმდინარეობს, რომელიც უკავშირდება მიხეილ სააკაშვილის ურთიერთობას უმაღლესი რადას დეპუტატ ლიზა იასკოსთან",** – წერს გამოცემა.

უკრაინული გამოცემა სააკაშვილის ახლო წრეზე დაყრდნობით წერს, რომ უკვე ერთი წელია, რაც იასკოს მიხეილ სააკაშვილისთვის ციხეში არ მიუკითხავს და მასთან კონტაქტსაც არ ინარჩუნებს. მათი აზრით, ის სააკაშვილის გრძნობებით თამაშობდა, მის მიმართ ანგარებიანი დამოკიდებულება ჰქონდა და უკრაინაში სააკაშვილის საკუთრების უფლების მოპოვება სურდა.

**„ამბობდა, რომ ორსულად იყო. მიშას და დედამისს შეატყობინა, რომ ბავშვს ელოდებოდა. აიძულა იგი, გადაეღო ვიდეო-აღიარება მათი ურთიერთობის შესახებ სააკაშვილის საქართველოში წასვლამდე",** – განმარტავს წყარო მიხეილ სააკაშვილის ახლო გარემოცვიდან.

წყაროს თქმით, იასკოსა და სააკაშვილს შორის ურთიერთობა მაშინ დასრულდა, როდესაც გაირკვა, რომ სააკაშვილის ქონება დედამისზე იყო გაფორმებული.

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-23) აგარა – ყორნისი - ცხინვალის საავტომობილო გზის კმ 1 (0+650) - ზე მდ. სურამულაზე ახალი სახიდე გადასასვლელის პროექტირება - მშენებლობის სამუშაოების პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების გიორგი რაზმიაშვილის (პ/ნ 43001027027), ეკატერინე რაზმიაშვილის (პ/ნ 43001022335), მზია რაზმიაშვილის (პ/ნ 43001021363), რომან რაზმიაშვილის (პ/ნ 43001012479), ნიკოლოზ რაზმიაშვილის (პ/ნ 43001008016), ფარსადან რაზმიაშვილის (პ/ნ 43001034830), გელა რაზმიაშვილის (პ/ნ 43001028012), ბელა რაზმიაშვილის (პ/ნ 43001034949) და ირინე რაზმიაშვილის (პ/ნ 43001007053) თანასაკუთრებაში არსებული, ქარელის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვენატკოცაში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 3736 კვ. მეტრი ფართობის, მთლიანი მიწის ნაკვეთის ნაწილი - 270 კვ. მეტრი (ს/კ 68.06.41.421), მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (ღობე) და მრავალწლიანი ნარგავები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 10 თებერვლის 1-1/46 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების გიორგი რაზმიაშვილის (პ/ნ 43001027027), ეკატერინე რაზმიაშვილის (პ/ნ 43001022335), მზია რაზმიაშვილის (პ/ნ 43001021363), რომან რაზმიაშვილის (პ/ნ 43001012479), ნიკოლოზ რაზმიაშვილის (პ/ნ 43001008016), ფარსადან რაზმიაშვილის (პ/ნ 43001034830), გელა რაზმიაშვილის (პ/ნ 43001028012), ბელა რაზმიაშვილის (პ/ნ 43001034949) და ირინე რაზმიაშვილის (პ/ნ 43001007053) თანასაკუთრებაში არსებულ, ქარელის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვენატკოცაში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 3736 კვ. მეტრი ფართობის, მთლიანი მიწის ნაკვეთის ნაწილზე - 270 კვ. მეტრზე (ს/კ 68.06.41.421), მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე (ღობე) და მრავალწლიან ნარგავებზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 30.0 - კმ 42.0 მონაკვეთის (ლოტი III) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების ზაირა წილოსანის (პ/ნ 26001001026), კარლო წილოსანის (პ/ნ 26001007743) და ნოდარ წილოსანის (პ/ნ 26001022179) (შემდგომში - მესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ლესაში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების, 7 777 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.10.43.183) ნაწილი - 48 კვ. მეტრი.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 10 თებერვლის 1-1/45 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების ზაირა წილოსანის (პ/ნ 26001001026), კარლო წილოსანის (პ/ნ 26001007743) და ნოდარ წილოსანის (პ/ნ 26001022179) თანასაკუთრებაში არსებულ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ლესაში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების, 7 777 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.10.43.183) ნაწილზე - 48 კვ. მეტრზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 30.0 - კმ 42.0 მონაკვეთის (ლოტი III) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების ამირან დობორჯგინიძის (პ/ნ 26001013810), თამარ დობორჯგინიძის (პ/ნ 26001006906), მაია თევზაძის (პ/ნ 26001020493) და გიორგი თავართქილაძის (პ/ნ 61004055582) (შემდგომში - თანამესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჯურუყვეთში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების, 4 175 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.11.43.078) ნაწილი - 1 620 კვ. მეტრი.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 10 თებერვლის 1-1/45 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების ამირან დობორჯგინიძის (პ/ნ 26001013810), თამარ დობორჯგინიძის (პ/ნ 26001006906), მაია თევზაძის (პ/ნ 26001020493) და გიორგი თავართქილაძის (პ/ნ 61004055582) თანასაკუთრებაში არსებულ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჯურუყვეთში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების, 4 175 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.11.43.078) ნაწილზე - 1 620 კვ. მეტრზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

**რაგბი ჩვენი თამაშია**

# ცალი ფეხით



**რაგბი ევროპის ჩემპიონატის მესამე ტურში საქართველოს ნაკრებმა ესპანეთი 3:41 დაამარცხა და ნახევარფინალის საგზური მოიპოვა.**

ესპანეთის პატარა ქალაქ ტარენოვეგაში გამართული შეხვედრა „ბორჯღალოსანთა“ აშკარა უპირატესობით წარიმართა და ლოგიკური შედეგითაც დასრულდა.

მატჩი ჩვენებმა აქტიურად დაიწყეს და მე-3 წუთზე აკა ტაბუცაძის შესანიშნავი ლელოთი დავწინაურდით კიდეც. ქართველმა ფრთამ ეს არ იკმარა და ძალიან მალე მეტოქეს მეორე ლელოც მიაყოლა. ამ ლელოებს შორის იყო ესპანელთა ერთადერთი გატანილი ჯარიმა, რის შემდეგაც მათ შედეგიანი ქმედება აღარ ჰქონიათ.

პირველ ტაიმში, 24-ე და 36-ე წუთებზე ჯერ საჯარიმო ლელო, შემდეგ კი თედო აბჟანდაძის კარგი თამაში იყო. სწორედ საკუთარი ლელოს შემდეგ გაისწორა „ბორჯღალოსანთა“ ათიანმა მიზანი, პირველი გარდასახვა გაიტანა და პირველი ტაიმის ანგარიში, 3:22 დააფიქსირა.

ქართველთა დომინაცია მეორე ტაიმშიც გაგრძელდა. თავი ჯერ დისკვალიფიკაციამოხდილმა მერაბ შარიქაძემ გამოიჩინა, შემდეგ კი გელა აფრასიძის ძალიან ჭკვიანურად ფეხით შეცურებულ პასს სანდრო თოდუა დაუხვდა და საქართველოს ნაკრების უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა. მატჩს წერტილი დავით ნინიაშვილმა დაუსვა, რომელმაც პირველხაზელივით შეიტანა ბურთი მეტოქის ლელოში.

შეხვედრის ბოლოს ისე გამოვიდა, რომ საქართველოს ნაკრები 12 კაცით დარჩა (2 ყვითელი, შარიქაძის ტრავმა) და მაინც მოახერხა საკუთარი ლელოს დაცვა. საბოლოოდ შეხვედრა 3:41 დასრულდა.

„ბორჯღალოსნებმა“ A ჯგუფი 3-დან 3 მოგებით დაასრულეს და ნახევარფინალის საგზური მოიპოვეს, სადაც B ჯგუფის მეორეადგილოსანს, ანუ პორტუგალიასა და რუმინეთს შორის დამარცხებულს შეხვდებიან.

აღსანიშნავი ფაქტია ისიც, რომ ამ გამარჯვებით საქართველოს ნაკრებმა 0.75 სარეიტინგო ქულა მიიღო, იტალიას გადაუსწრო და მსოფლიო რეიტინგში მე-12 ადგილზე გადაინაცვლა, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ კი ვასილ ლობჟანიძე დასახელდა.

**ლეგიონერი**

# ფინალში 12 ქულით



**ესპანეთის თასის ნახევარფინალურ შეხვედრაში გიორგი შერმადინის „ლენოვო ტენერიფე“ სტუმრად „ხოვენტუტ ბადალონას“ დაუპირისპირდა და დაძაბულ ბრძოლაში 72:73 დაამარცხა.**

ქართველმა კალათბურთელმა მოედანზე 33 წუთი გაატარა, რა დროშიც 12 ქულა, 6 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა დააგროვა. გიორგიმ 6-დან 3 ორქულიანი და 9-დან 6 ჯარიმა ჩააგდო, მარგი ქმედების კოეფიციენტი კი შეხვედრაში საუკეთესო ჰქონდა: +19.

მის გუნდში ყველაზე შედეგიანი მარსელინიო უერტასი იყო, რომელმაც 14 ქულა ჩააგდო, მეტოქეთაგან კი 22 წლის ლიდერი ჟოელ პარა გამოირჩა, რომელმაც 26 ქულა და 5 მოხსნა დააგროვა.

ესპანეთის თასის ფინალში „ლენოვო ტენერიფე“ „ბარსელონასა“ და „რეალის“ დამმარცხებელ მალაგას „უნიკახას“ შეხვდება. რაც შეეხება ლიგა ენდესას, ქართველი კალათბურთელის გუნდი მომდევნო მატჩს უკვე 5 მარტს ჩაატარებს.

იქამდე სანაკრებო პაუზა გველოდება, სადაც გიორგი შერმადინი ეროვნულ ნაკრებს დაეხმარება. ის გუნდს ნიდერლანდებში შეუერთდება და 23 და 26 თებერვალს გასამართავი მუნდიალის დასკვნითი შესარჩევი მატჩებისთვის მზად იქნება.

იტალიის თასის ფინალში გავიდა თორნიკე შენგელიას ვირტუსიც, რომელმაც იოლად სძლია ტორტონას – 90:65, თანაც პირველი პერიოდი 17(!) ქულით მოიგო.

ჯვაროსანთა კაპიტანმა გამარჯვებაში ამჯერადაც ღირსეული წვლილი შეიტანა – 19 წუთში 18 ქულა, 2 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა.

ფინალში ბოლონიელთა მეტოქეა ბრეშია.

**ცხელი ზამთარი**

Premier League

# თურმე, ჯერ სადა ვართ

**იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდის – ტურინის იუვენტუსის 15-ქულიანმა სანქციამ საფუძველი ჩაუყარა ახალ ევროპულ სკანდალებს და შეუქცევადი პროცესის სახე მიიღო.**

ჩვენ უკვე გაუწყეთ, რომ შედარებით მცირე მასშტაბის, მაგრამ მაინც დამაფიქრებელი 6-თვიანი გამოძიება მიმდინარეობს სერია – ა-ს ლიდერ და ფინიშამდე 15 ტურით ადრე 15-ქულიანი ჰანდიკაპით ცალი ფეხით უკვე ჩემპიონ ნაპოლიში 2021 წელს განხორციელებული ოსიმენის ტრანსფერის საქმეზე. და აი, ბომბი უკვე ფეხბურთის სამშობლოშიც გასკდა.

საუბარია ინგლისის ჩემპიონ მანჩესტერ სიტის თავს დატეხილ სერიოზულ პრობლემებზე, რომელიც პრემიერლიგის ხელმძღვანელობამ 2002-2018 წლების პერიოდში 100-ზე მეტ ფინანსურ დარღვევაში დაადანაშაულა. შედეგად, კლუბს შესაძლოა ქულები ჩამოაკლონ ან სულაც გააძევონ ელიტიდან. ყოველ შემთხვევაში, პრემიერლიგამ უკვე გადასცა შესაბამისი მასალები სპეციალურ კომისიას, რომელიც დახურულ რეჟიმში კონფიდენციალურად ჩაატარებს საქმის განხილვას. აღსანიშნავია, რომ თუ სიტის დასჯიან, პრემიერლიგის მიერ დადგენილი წესის თანახმად, მას არ შეეძლება აპელაციის შეტანა სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში. ახლა კი უფრო კონკრეტულად იმის შესახებ, თუ რა შესცოდეს ქალაქელებმა.

პრემიერლიგა ამტკიცებს, რომ კლუბი რეგულარულად არ აწვდიდა მას ზუსტ ინფორმაციას ფინანსური მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, სასპონსორო შემოსავლებსა და ოპერაციულ დანახარჯებზე.

კიდევ ერთი ძაღლის თავია დამარხული 2009-2010 წლების სეზონიდან 2012-2013 წლების სეზონის ჩათვლით დროის მონაკვეთში სიტის მიერ მთავარ მწვრთნელ რობერტო მანჩინისთვის გადახდილი ხელფასის დამალვის ფაქტში. სხვათა შორის, იგივე შეიძლება ითქვას რამდენიმე ფეხბურთელთან მიმართებაშიც, რომელთა ვინაობაც ჯერჯერობით არ გახმაურებულა.

ისიც სათქმელია, რომ 2013-2014, 2014-2015 და 2017-2018 წლების განმავლობაში მსოფლიოს ერთ-ერთმა უმდიდრესმა კლუბმა დაარღვია უეფას მიერ კლუბებისათვის დადგენილი ლიცენზირებისა და ფინანსური ფეარ პლეის წესები.

და ბოლოს – ძირითადი იაღლიში: 2018 წლის დეკემბრის შემდეგ სიტი აღარ თანამშრომლობდა პრემიერლიგასთან გამოძიების მიმდინარეობისას და, სათანადო წესების იგნორირებით, არ წარუდგენია ლიგისთვის საჭირო დოკუმენტები.

არც ახალთახალმა სავარაუდო კრიმინალმა დაიგვიანა და ისე როგორ იქნებოდა, საერთო ფერხულში ესპანური ლა ლიგა არ ჩაბმულიყო. დიახ, ღრუბლები უკვე ბარსელონას თავს მოიქუფრა, რომელსაც, არც მეტი, არც ნაკლები, მსაჯთა დამნიშნავი ორგანოს მაღალჩინოსნის მოქრთამვას ედავებიან, თუმცა უფრო დაწვრილებით ამ თემაზე მოგვიანებით – ნიუანსების დაზუსტების შემდეგ ვისაუბროთ.

თითქოს საზრუნავი აკლდა, ჩავის გუნდს კიდევ ერთი დარტყმა უკვე წმინდა სათამაშო ასპექტში მიადგა, რადგან ევროპალიგის მერვედფინალში კამპ ნოუზე გამართულ პირველ ბრძოლაში მანჩესტერთან ტრავმა მიიღო ბლაუგრანას ახალგაზრდა ლიდერმა პედრიმ, რომელმაც ლაზარეთი ბუსკეტსთან და დემბელესთან ერთად შეავსო (2:2).

თუმცა, ასეთი საგანგაშო ინფორმაციების ფონზე არის დადებითი სიახლეც. როგორც მოგეხსენებათ, 2021 წლის აპრილიდან სუპერლიგის შექმნის იდეას სწორედ ბარსელონა, აგრეთვე რეალი და იუვენტუსი უწევენ ლობირებას და ახალ პროექტთან დაკავშირებით მის ინიციატორებს კონტაქტი ჰქონდათ ევროპის 50 კლუბთან, პირველადი ვარიანტი კი ითვალისწინებდა 12 მუდმივ წევრს, მათ შორის ზუსტად ნახევარს – პრემიერლიგიდან.

და აი, უეფადან გაჟღერებული საკმაოდ მკაცრი შესაძლო სანქციებიდან მალევე გამოქვეყნდა სუპერლიგის განახლებული პროექტი და მოეწყო ახალი ვერსიის პრეზენტაცია. იგი წარმოადგინა კომპანია ა22 სპორტს მენეჯმენტმა და გამორიცხავს ლიგაში მუდმივი ბინადრების ყოფნას. ეს იქნება ფორმატი რამდენიმე დივიზიონით, რომლებიც 60-დან 80 კლუბამდე გააერთიანებს და თითოეულ გუნდს სეზონში 14 მატჩის გამართვა მოუწევს.

წერილის დასაწყისში გაკვრით შევეხეთ ნაპოლის მიკროთავსატეხს, ჩაროზად კი ტკბილი ლუკმა მივირთვათ, რადგან 23-ე ტურში ლუჩანო სპალეტის გუნდმა სტუმრად სასუოლო დასცა – 2:0. უკვე მერამდენედ, გოლი-შედევრები ხვიჩა კვარაცხელიამ და ვიქტორ ოსიმენმა გაიტანეს.

**რინგზე**

# წელს ქვემოთ



**მართლაც, ბნელა? – მაშინ, როცა თითქმის მთელი სპორტული სამყარო ბოიკოტის რეჟიმშია აგრესორი ქვეყნის ცალკეულ წარმომადგენელთა უმაღლესი რანგის ტურნირებში შესაძლო დაშვების გამო, ზოგ-ზოგიერთები თავს უფლებას აძლევენ იგნორირება გაუკეთონ სამართლიან პროტესტს.**

ამჯერად საუბარია 15-31 მარტს დელიში (ინდოეთი) და 1-14 მაისს ტაშკენტში (უზბეკეთი) დანიშნულ, შესაბამისად, ქალ და ვაჟ მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატებზე, სადაც საკუთარი ქვეყნების დროშებითა და ჰიმნებით რინგზე რუსები და ბელარუსები უნდა გამოვიდნენ, ამ გადაწყვეტილების გამო კი აზიაში ჩხუბზე უარი ამერიკელებმა განაცხადეს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საერთაშორისო ფედერაციას ჩრდილოური „დერჟავის“ კვოტით არჩეული უმარ კრემლევი (დიახ – კრემლევი) თავკაცობს, არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ აღნიშნულ სტრუქტურას გაუმჭვირვალე ფინანსური მმართველობისა და იმ კომპანიებთან პარტნიორობის გამოც აკრიტიკებენ, რომლებზეც სანქციები ვრცელდება.

**ტატამზე**

**გასული კვირა ქართველ ძიუდოისტთა ახალი წარმატებებით აღინიშნა, რასაც ტონი სოფიაში გამართული ევროპის ღია პირველობის მონაწილეებმა მისცეს.**

ბულგარულ ტატამზე მოპოვებული 3 ოქროსა და 1 ბრინჯაოს მედლით ჯვაროსნებმა გუნდურ ჩათვლაშიც იპირველეს. საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ კოტე კაპანაძე (73), გიორგი ჯაბნიაშვილი (81) და ირაკლი დემეტრაშვილი (+100), ხოლო მიხეილ ჯაფარიძე მესამე პრიზიორი გახდა.

როგორც მიგვაჩვიეს, ესტაფეტა ღირსეულად გადაიბარეს თელ ავივის გრანდ სლემზე მოასპარეზე ეროვნული ნაკრების წევრებმა და მათგან ნახევარმა ისრაელში 3 მედალი მოიხვეჭა.

ებრაულ ტატამზე განსაკუთრებით ივაჟკაცეს 66 კგ წონითი კატეგორიის წარმომადგენლებმა: ოქრო – ვაჟა მარგველაშვილი; **ბრინჯაო** – ლაშა ნადირაძე, ბექა ღვინიაშვილმა (90) კი, ტრადიციისამებრ, ოქროს წერტილი დასვა.

# რასაც ველოდით



## სულთათანა

# ღვაწლმოსილი მეცნიერი აკადემიკოს ელგუჯა შაფაქიძის ხსოვნა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, პედაგოგი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი ელგუჯა შაფაქიძე.

ბატონი ელგუჯა შაფაქიძე დაიბადა ქალაქ თბილისში, 1942 წლის 20 აგვისტოს მოსამსახურის ოჯახში. 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა ქალაქ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის 53-ე საშუალო სკოლა (ყოფილი მე-7 ვაჟთა საშუალო სკოლა) და მუშაობა დაიწყო ქალაქ თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში ხარატად, სადაც იმუშავა 1962 წლამდე. პარალელურად 1959 წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1965 წელს და მიენიჭა ინჟინერ- მექანიკოსის კვალიფიკაცია.



ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი დატოვეს სამუშაოდ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის „ვენახის შრომატევადი სამუშაოების“ პრობლემურ ლაბორატორიაში უფროს კონსტრუქტორად. 1968 წელს ბატონი ელგუჯა ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნიადაგდამამუშავებელი მანქანა-იარაღების კათედრის ასპირანტად. 1972 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ვენახის საცავ ზოლში ნიადაგის დამუშავების მექანიზაცია“ და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1966-1967 წლებში გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური და იყო თადარიგის კაპიტანი.

1974 წელს იგი კონკურსით არჩეული იქნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევით ფაკულტეტზე მექანიზაციის განყოფილების გამგედ.

1978 წელს მას მიენიჭა უფროსი მეცნიერ მუშაკის სამეცნიერო წოდება.

1981 წელს ბატონი ელგუჯა დაინიშნა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, ხოლო 1987 წელს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა ამავე ფაკულტეტის დეკანად, სადაც იმუშავა 2005 წლამდე.

1985 წელს მას მიენიჭა დოცენტის, ხოლო 1993 წელს პროფესორის სამეცნიერო წოდება.

1994 წელს ბატონმა ელგუჯამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მეაბრეშუმეობის შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია“ და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1995 წელს იგი აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2015 წელს აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

1997 წელს ბატონი ელგუჯა აირჩიეს უმაღლესი სკოლის მეცნიერების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად;

2004-2009 წლებში არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საინჟინრო განყოფილების აკადემიკოს-მდივნად.

2005-2007 წლების პერიოდში ბატონი ელგუჯა მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ნიადაგდამამუშავებელი და სამშენებლო მანქანების კათედრის პროფესორად და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად.

2006 წლიდან 2013 წლამდე არჩეული იქნა სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის (ამჟამად საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი) სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მიმართულებით.

2011 წელს იგი აირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად — აკადემიკოსად.

უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში აქტიურად ეწეოდა სასწავლო-პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. 1998-2005 წლებში იგი იყო საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის საინჟინრო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

2012 წლიდან იგი არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეაბრეშუმეობის ასოციაცია BACSA-ს კოორდინატორი საქართველოში.

2013 წლის 4 იანვრიდან უკანასკნელ დღემდე ბატონი ელგუჯა შაფაქიძე მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში აკადემიური დეპარტამენტის უფროსად, აკადემიის აკადემიკოს - მდივნად.

იგი აქტიურად იყო ჩართული სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. გამოქვეყნებული აქვს 283 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 8 მონოგრაფია, 8 სახელმძღვანელო, 13 რეკომენდაცია, მიღებული აქვს 10 საავტორო მოწმობა, 8 პატენტი გამოგონებაზე, 6 რაციონალიზატორული წინადადება.

მისი ხელმძღვანელობით დაცულია 4 დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა ხარისხის მოსაპოვებლად და ორი დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და კონგრესებში.

ბატონი ელგუჯა 1988 წელს დაჯილდოვდა მედლით „შრომის ვეტერანი“. 1999 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“, 2006 წელს მიენიჭა „წლის ინჟინრის“ საპატიო წოდება. 2016 წელს მის ნაშრომს „საქართველოს მეაბრეშუმეობა — პრობლემები, რეაბილიტაცია, აღორძინება“ მიენიჭა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრემია აგრარულ დარგში საუკეთესო ნაშრომისათვის. 2017 წელს დაჯილდოვდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელით აგროსაინჟინრო დარგში მიღწეული წარმატებებისათვის.

აკადემიკოს ელგუჯა შაფაქიძის სახით ქართულმა აგრარულმა მეცნიერებამ დაკარგა ღვაწლმოსილი მამულიშვილი, მეცნიერი და პედაგოგი, რომლის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების, კოლეგებისა და მოწაფეების ხსოვნაში.

### საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, პედაგოგი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი



## ელგუჯა შაფაქიძე

ბატონი ელგუჯას გარდაცვალების გამო ვუთანაგრძნობთ ოჯახის წევრებს და ახლობლებს.



## მიწისძვრის მსხვერპლთა რაოდენობა იზრდება

თურქეთსა და სირიაში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 46 ათასს მიუახლოვდა. მსხვერპლის რაოდენობა შესაძლოა კიდევ გაიზარდოს. მარტო თურქეთში 40 ათასამდე გარდაცვლილია, სირიაში კი სტიქიამ 5 800-მდე ადამიანი იმსხვერპლა. სტიქიური უბედურების ზონაში სამძებრო — სამაშველო და სალიკვიდაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

## მკვდარი მიგრანტები სატვირთო ავტომობილში

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიას მახლობლად, სატვირთო მანქანა იპოვეს, რომელშიც 18 ადამიანის ცხედარი აღმოაჩინეს. პოლიციის ცნობით, გარდაცვლილები არალეგალი მიგრანტები არიან.

ბულგარეთის პოლიციის ინფორმაციით, სატვირთოში სულ 40-მდე ადამიანი იმყოფებოდა, რომლებიც შეშის ქვეშ იმალებოდნენ. ბულგარეთის ჯანდაცვის მინისტრმა ასენ მეჯიდიევმა განაცხადა, რომ გადარჩენილთა უმეტესობა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. არსებული ინფორმაციით, 14 ადამიანი ცოცხალი იპოვეს, თუმცა 8 მათგანის მდგომარეობა მძიმეა. მიგრანტების გადამყვანი ადამიანების ძებნა გრძელდება. სატვირთოს მძღოლმა გაქცევა მოახერხა.

## „ყვიროდნენ, გვიშველეთო და ვერ ვშველოდით“!

ქუთაისში, ცხრა აპრილის ქუჩაზე 18 თებერვალს ლიფტი ჩამოწყდა. კორპუსის მოსახლეობას მომხდარის გამომწვევ მიზეზებზე საუბარი უჭირთ.

კორპუსის მცხოვრებლების თქმით, ლიფტის სარემონტო სამუშაოები დაახლოებით 1 წლის წინ ჩატარდა.

„როგორ მეშველა ხალხისთვის არ ვიცოდი. ყვიროდნენ, გვიშველეთ, გვიშველეთო და მთელი ხალხი თავზე მახტებოდა, მორბოდნენ და ვერ ვშველოდი, დაკეტილია ჰერმეტულად, რას უზამ? ტრიალებდა ის „კარობკა“ შიგნიდან და დაჟეჟილები არიან“, — აცხადებს ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრები.

ლიფტის კაბინა მე-12 სართულიდან დაეშვა და მე-4 სართულზე გაიჭედა. ლიფტში ორი ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის ბავშვი. ისინი არ დაშავებულან.

## განცხადება

2023 წლის 10 მარტს 12 საათზე ჩატარდება სააქციო საზოგადოება „ოპიზარის“ აქციონერთა საერთო კრება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. №121.

**დღის წესრიგი:**

1. სამეთვალყურეო საბჭოს შეცვლა;
2. სს „ოპიზარის“ აქციონერებზე დივიდენდების გაცემა 2022 წლის და 2023 წლის იანვარ-თებერვლის შედეგების მიხედვით;
3. სხვადასხვა საკითხები.

ს.ს. „ოპიზარის“ აქციონერთა რეგისტრაციის სააღრიცხვო დღეა 2023 წლის 30 იანვარი.

დღის წესრიგთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ ს.ს. „ოპიზარის“ დირექციაში.

ტელეფონი 598 555 9999.

## დაზუსტება

ჩვენი გაზეთის 13 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „სიყვარული გზად და ხიდად“! (ვლადიკავკაზის ქართული სკოლა — 135), ამ სკოლის ყოფილ პედაგოგთა ჩამონათვალში მოხსენიებულია ეკატერინე ჩაველაშვილი... სინამდვილეში უნდა იყოს ჩაგელიშვილი.

რედაქცია ბოდიშს უხდის ქალბატონ ეკატერინე ჩაგელიშვილის შთამომავლებს და უახლოეს ნათესავებს!

# მსოფლიო ვარსკვლავები ბავშვებისთვის!

საპატრიარქო მრევლს თხოვნით მიმართავს, დღეს, 20 თებერვალს დაგეგმილ საქველმოქმედო ღონისძიებაში შესაძლებლობის ფარგლებში ყველამ მიიღოს მონაწილეობა.

„ა.წ. 20 თებერვალს მსოფლიოში ცნობილი საოპერო ვარსკვალის, მეცო-სოპრანო ნინო სურგულაძის ორგანიზებით, თბილისში, რუსთაველის თეატრში გაიმართება საქველმოქმედო გალა კონცერტი – „მსოფლიო ვარსკვლავები ბავშვებისათვის“.

ღონისძიება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის აღსაყდრების 45 და დაბადებიდან 90 წლის იუბილეს ეძღვნება.



ორგანიზატორების გადაწყვეტილებითა და მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით, საქველმოქმედო საღამოზე შემოსული თანხა მოხმარდება თურქეთსა და სირიაში დამანგრეველი მიწისძვრით დაზარალებულ ბავშვებს.

გალა კონცერტში ნინო სურგულაძესთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ: სპეციალური სტუმარი სუმი ჯო-სოპრანო (ოსკარის და ოქროს გლობუსის ნომინანტი), გია გაგნიძე, ლადო ათანელი, ოთარ ჯორჯიკია, ყოვლად წმიდა სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდი (მაესტრო სვიმონ ჯანგულაშვილის ხელმძღვანელობით) თბილისის ქალთა გუნდი (ხელმძღვანელი ომარ ბურდული), თბილისის ოპერის სიმფონიური ორკესტრი, მაესტრო ნიკა ნიკვაშვილი და სხვა მონაწილენი.

სპეციალური სტუმარი იქნება მაესტრო ჯუზეპე საბატინი.

კონცერტი გადაიცემა ტელეკომპანია „იმედის“ პირდაპირი ეთერით 22:00 საათიდან, ასევე იქნება საქველმოქმედო ტელეფონის ნომერი 0901900999 და მრევლს ვთხოვთ, შესაძლებლობის ფარგლებში ყველამ მიიღოს მონაწილეობა.

ზარის ღირებულებაა 1 ლარი“.



# ქუთათურ მეთოჯინეთა „ბაჯაჯანას ქოშები“

**ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრში პრემიერა შედგა. ქუთაისელმა მეთოჯინეებმა წარმოადგინეს პიესა იოსებ გრიშაშვილის ლექსის მიხედვით – „ბაბაჯანას ქოშები“.** სპექტაკლის რეჟისორი თამაზ იმნაძეა, მხატვარი – ვახტანგ ქორიძე; სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობები: ნანა ოქროიანი, თინათინ ნემსაძე, თეა გეგეჭკორი, ნუნუ ქუთათელაძე, მზია მოსიძე, ზაზა იოსებაშვილი, ავთანდილ ჩიქვილაძე, მანუჩარ ზეგალიშვილი. სპექტაკლის მთავარი ქარგა იოსებ გრიშაშვილის მიერ აღწერილი ძველი თბილისის ერთ-ერთი სურათია. ქუთაისის თოჯინების თეატრის სცენა აცოცხლებს ქალაქურ ჩანახატებსა და ისტორიულ ემოციას. ქუთაისის თოჯინების თეატრი 1946 წლის 31 დეკემბერს გაიხსნა და წელს 76 წლის გახდა.

# შოკოლადის კვერცხების მოყვარული

**დიდი ბრიტანეთის სასამართლომ დამნაშავედ ცნო კაცი, რომელსაც 200 ათასამდე შოკოლადის კვერცხის ქურდობა ედებოდა ბრალად, რომელთა საერთო ღირებულებაც დაახლოებით 48 ათას დოლარს შეადგენს.**

32 წლის ჯობი პულმა დანაშაული აღიარა. მან პოპულარული ბრიტანული დესერტი – Cadbury Creme Eggs ტელფორდში მდებარე ერთ-ერთი საწყობიდან მოიპარა. სამართალდამცველებმა შოკოლადი მაშინ აღმოაჩინეს, როდესაც პულის ავტომობილი ერთ-ერთ გზატკეცილზე გააჩერეს. ქურდს პოლიციელებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. პულს განაჩენს მარტში გამოუტანენ, მანამდე ის პატიმრობაში დარჩება.



# სიზმარიც აუხდათ კორეელებს...

**ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი ქალიშვილთან ერთად საფეხბურთო მატჩს დაესწრო. ამის შესახებ Associated Press-ი ჩრდილოკორეულ ოფიციალურ საინფორმაციო სააგენტოზე დაყრდნობით იტყობინება.**

საფეხბურთო მატჩი ჩრდილოეთ კორეის ლიდერის მამის, კიმ ჩენ ირის დაბადების დღეს გაიმართა და მასში ერთმანეთს მთავრობისა და თავდაცვის სამინისტროების გუნდები ხვდებოდნენ. **„კიმ ჩენ ინისა და მისი შვილის, კიმ ჩუ ეს გამოჩენამ მატჩის მონაწილეებს შორის დიდი სიხარული გამოიწვია. მათთვის დიდი პატივი იყო, მონაწილეობა მიეღოთ სპორტულ ღონისძიებაში კიმ ჩენ ინის თანდასწრებით, რომლის ნახევაზეც ისინი სიზმარშიც კი ოცნებობდნენ“,** – წერს სააგენტო. ბოლო პერიოდში კიმ ჩენ ინი ქალიშვილთან ერთად რამდენიმე ღონისძიებას დაესწრო, რამაც გააჩინა დებატები იმის თაობაზე, ხომ არ ამზადებს ის კიმ ჩუ ეს მომავალი ლიდერობისთვის.

# უძველესი ბიბლია აუქციონზე



**ებრაული ბიბლია, რომელიც მსოფლიოში უძველესი, თითქმის დასრულებული ეგზემპლარია, ნიუ-იორკში Sotheby's-ის აუქციონზე მაისში გამოჩნდება. საუქციონო სახლის განცხადებით, მისი ფასი 430 მილიონიდან 450 მილიონამდე იქნება განსაზღვრული.**

აუქციონმა ბიბლიას ერთ დროს მისი მფლობელის, კოლექციონერისა და ფილანთროპის, დევიდ სოლომონ სასუნის (1880-1942) დავალებით, „Codex Sassoon“-ი უწოდა. ბიბლიის გაყიდვის შემთხვევაში, ის გახდება ყველაზე ძვირად ღირებული ხელნაწერი ან წიგნი, რომელიც აუქციონზე ოდესმე გაყიდულა.

„Codex Sassoon“-ი, რომელსაც ინვესტორი ჯაკი საფრა ყიდის, მეცხრე-მეათე საუკუნეებით თარიღდება და ებრაული ბიბლიის 24-ვე წიგნს შეიცავს. პერგამენტის 396 ქაღალდისგან შემდგარ წიგნზე დატანილია ნიშნებიც, რომლებზეც მათი ადრეული მფლობელებია მითითებული. მათ შორისაა ებრაული თემი მიკისინი, რომელიც დღევანდელ სირიაში სახლობდა. ამის შემდგომ, ბიბლიის ბედი გაურკვეველი იყო, სანამ 1929 წელს მას სასუნი შეიძენდა და კვლავ გამოჩნდა, როგორც გლობალურად აღიარებული არტეფაქტი.



# საბერძნეთის ეკლესიის მეთაური შეიძლება გადადგეს

ათენისა და სრულიად საბერძნეთის ეკლესიის მეთაურმა, მთავარეპისკოპოსმა იერონიმე მეორემ განაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში, მზად არის, გადადგეს.

„სინოდმა გადადგომა რომ მთხოვოს, წინააღმდეგი არ ვიქნები. ჩვენს სინოდში აი ახლა რომ გამოჩნდეს მღვდელმთავრების ნაწილი და მითხრან დავიღალეთ, ცვლილება გვინდა, წინააღმდეგი არ ვიქნები, დაე იყოს ცვლილებები, თუნდაც ჩემს ხარჯზე. მე არ მაქვს პრობლემა, უკვე ძალიან მოვხუცდი, მე უკვე ვასრულებ მსახურების 56 წელს, როგორც სასულიერო პირი“, – განაცხადა იერონიმე მეორემ.

# ანტარქტიდას პატარავდება

**მეცნიერების განცხადებით, ანტარქტიდის გარშემო ყინულის ფართობი მასზე დაკვირვების ისტორიაში, რომელიც 1970-იანი წლებიდან მიმდინარეობს, ახლა ყველაზე დაბალ ნიშნულზეა.**



ქარის, თბილი ჰაერისა და წყლის გამო ყინულის ფართობი 1,91 მილიონ კვადარტულ კილომეტრამდეა შემცირებული. მკვლევარები აცხადებენ, რომ ყინულის დნობის ტენდენცია, სავარაუდოდ, გამოწვეულია ანტარქტიდის თავზე ოზონის ხვრელის არსებობით და ატმოსფეროში სათბურის აირების დონის მომატებით.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 22 თებერვალს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6386; ევრო - 2.8077;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1513;
100 რუბლი - 3.5400; თურქული ლირა - 0.1399;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5521;
1000 სომხური დრამი - 6.7118

**ამინდი 20 თებერვლისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | 0, | დღე +10 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე +9 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე +11 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე +10 |
| თბილისი: | ღამე | +3, | დღე +13 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge